

ილორი

www.ilori.ge



№ 87 (148) 5 ოქტომბერი 2010 სანჯალხო მოკრახობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თებერი

რიცხავ შარას

რიწაშ შარას, ბზიფწყარს მოლე, ფერდის ოდა მიკოდგუნი ვორექ ბრელშა მინაულა ეტირხუდუ შუმი-ჭკუმი

თელო გუმალუაფუდეს, ზალამენდეს ანდა ნერო, მუქ მადლოდეს, მათ ვამიჩქ მუშენ გინმოშქვესი ნტერო...

“იზაბელას” მაძაღენდეს – ჯიმალობაშ შვი დო შვია, დღემუს ვეგმასისმარუდუ ჩქინ შქას გოლუდუნი ტყვია...

მუშ მამაღას გიბჭყოლიდეთ ართიანიშ მიკოჯინა, ხუს ხეგინოხუნტოღერო “ჰარირაში” ართო ბირა...

ბჯერს, გოპირანს ოაფხაზე, იფცხოვრებუთ კინე წორო, ნტერს, ჩქი ართო ქიპითინი ვავარყინტეთ ჟირიხოლო...


ქიგვოსკიდუთ მაშქვიდალო ხორხოტასი ძვალციცალო, რუს გოქურუნს მუშ სტეპიშა ერებამო ჭყვადილცალო...

მარგალეფ დო აფხაზეფი ქუდოფსკიდით ღორებულო, ართ-მაჟიას ენვოჯინეთ ონჯღორეთი, მორდებულო...

ჟიშე ართ ცა გიმორთუნა, ვამორკუნა გური, ჭკუა, ქიგიშინით, ვამღუდესო ართ ხიოლ დო ართი ჭუა...

დიხა სოთინ ვადინენა, მუშუშ ყუდეს ირკოჩ დართუ, თეიშახ ირკოჩ ხეკვათილო ენოცუმიდ ვორეთ მართუს...

რიწაშ შარას, ბზიფწყარს მოლე, კინე გეფალუნსი ნდოლო, თი ოდაშა ხოლო ბრელშა ჯვეშობურო მეურქ ხოლო...
რამაზ კუპრა,
1995 წანა, არგუსო.



**ის უდიდეს
შთაბეჭდილებას
ახლენდა...**

ბაზეთი "ილორი" უძველესი რუბრიკას "მსოფლიოს დიდი უნებურთელები"




კახიფშ დინა
ვალდირ პერეირა დიდი
დომინგოს ანტონიო და ბია

**რა ენაზე
მეცხველებდენ
იბარაბი?**
კუკური ფიფია

**კლიმენტი კოლხეთი — ჩვენი
უმჯობესი სამყაროს კარიბჭა**

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცაღკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულ-ში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩინეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.



**ივანე ჯავახიშვილი
ქართველ ერის
ისტორია**

**წაიკითხეთ,
ყური
მიუბდეთ!**
დავით ქობალია



წაკითხეთ, მწერკი მიუხვდეთ!

მიმდინარე წლის პირველი ნახევარი, ჩვენი გაზეთისთვის, მოსალოდნელზე მეტად შედეგიანი აღმოჩნდა.

„ილერი“ 18 ქვეყანაში, 100-მდე მისამართზე იგზავნება!

„ილერი“ ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელიც ენგურს გაღმა გადააქვთ და მას უამრავი აფხაზი, ქართველი და არა-ქართველი კითხულობს! გაკვირდებიან და ვიტყვი – ჩვენითვის ეს არ ყოფილა უცხო და მოულოდნელი, რადგან **„ილერის წმინდა გიორგი“** ხომ აფხაზთა, ქართველთა, არაქართველთა და არაქრისტიანთა სალოცავი იყო!

მახსენდება ჩემს ბავშვობაში, 100 წელს გადაცილებული, ივლიტა ბებიას მონაყოლი: **„აქ, შეიღებო, მარტო ქართველები და აფხაზები კი არ ღოცულობენ – „ილერი“ მოლოცვას! ისეთი ძალა აქვს – აქ მოსული მტრებიც რიდგდებიან...“** ჯაჭვ ბორისას! აქ თუ ვინმე დაიწყებდა – ცოცხალი არ დარჩება მისი მოღვაწე! სულ შეჭრილები, საკუთარ სალოცავებს გამოქცეული არაქრისტიანებიც მოდიან აქ შეგების საძიებლად!

და პოულობენო კიდევ!..
დღეს მე იქ ისე თავისუფლად არ მიმსვლება, როგორც წინათ, მაგრამ იმედი არ მასვენებს:

მე და ათასობით ჩემისთანა – აფხაზი და ქართველი დიდი ხანია მივხვდით, რომ ეს არც აფხაზის ბრალია და არც ქართველის, ვიდრე არ სურდა ჩვენი ერთად ყოფნა, ვიდრე არ სურდა ჩვენი ერთმანეთისადმი სიყვარული!

ვიღაცას არ ასვენებდა **„აფხაზურ-ქართული“**, განსაკუთრებით **„აფხაზურ-მეგრული“**, ღამის რიტუალის დონეზე ავეზინილი ურთიერთპატივისცემა. ამიტომაც მოხდა **„აფხაზ-მეგრული“** დაუკითხავად, საქართველოს ორი უძველესი ხალხის და კუთხის აწიკება და ივარქმნა, ერთმანეთისადმი მტრადმოკვება!

ხომ მოისმინეთ ივლიტა ბებიას ნათქვამი: **„ისეთი ძალა აქვს ილერის სალოცავს, რომ იქ მოსული დაუბინებელი მტრებიც კი ერთმანეთში რიდგდობდნენ თურმე!“**
წყლის არ გავუა – ჩვენმა მტრებმაც კარგად იციან ამ ძალის შესახებ და ამიტომაც არ გვიშეუბნენ **„ილერის წმინდა გიორგის“** მოსალოცად!

და კიდევ – იმიტომაც არ გვიშეუბნენ ერთმანეთთან, ჩვენ ხომ მტრებსად არ დაგვბადებულვართ, ჩვენმა მტრებმა გვაქციეს ასეთებად და უფრო იოლად შეგრიდებით, ისედაც უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის!

გულს მიკლავს დღესათვი ნათელი ეს ჭეშმარიტება და იქნებ, სხვების დაუკითხავად, ერთად შექმნიეთ **„ტაბართან მისასვლელი გზა“**??!

იქნებ, თქვენ – თქვენთან, ჩვენ კი – ჩვენთან მოვიდით, ვამხილოთ და მოვიშორთ (სიკვდილს არ ვგულსხმობ!) ის სატანის მოცუპულები, ერთმანეთთან მისვლას რომ გვიშლიან?!

მხოლოდ ამ გზით შეიძლება – დეთის წინაშე და ორივე მხარეს, 18 წლის წინ ჩვენი მტრების მიერ თავსდატვიხილ უბედურებას მსხვერპლად შეწირულ უამრავ ადამიანთა სულების წინაშე, განვიწმინდოთ ცოდვებისაგან!

უამრავი ადამიანი სტუმრობს **„ილერს“**! ბუნებრივია, უამრავ ამბავს მოისმენ მათგან:

„ზრდილობას შვიდიოხალი აფხაზი“
მეორე მსოფლიო ომის დროს (ომს, რომელსაც შიშით და კრძალვით იხსენიებს მთელი ევროპა, სააკაშვილი და მისი – „სამაჩაბლოს ომის“ გემირი) გენერალიტივი“ კი აბუნად იდგება! უკან დახევისას, მტერ-გამოკიდებული აფხაზი ნაძვზე აცოცხლებს და იქ დამაღვია გერმანულ ფაშისტებს.

იმედგადაწურული, სირბილისგან ქანცვალეული ფრიცი იმავე ხის ძირში ჩამოხვდარა სულის მოსათქმელად.

შიშისგან გასუსული აფხაზი, მერქანს შეზრდილივით მიკრობია ნაძვის ხეს.

ოვლად დაღვრილმა ფრიცმა ხმამალდა დააკვირდა თურმე.

პატროსან აფხაზს ზრდილობამ სძლია და **„ხეივარაო“** ჩამოსხაბა ხის კენწეროდან.

ფრიცმაც არ დაახანა და ავტომატის ჯერით ფაშისტურად **„გადაუხდა მადლობა“** ზრდილობად აფხაზს!

ასეთი სიყვარულით იხსენებენ ძმადყოფილ, გულუბრყვილობამდე მისულ პატროსან აფხაზებს, მათგანვე დევნილი, მა-

გრამ ძმადარჩენილი ქართველები!

„ილერის“ სტუმართაგან 75 წლის ბატონ ანზორ დანელია დარღმორეული სიღინჯით, ზოგჯერ კიდევ მეგრულ-აფხაზური სიფიცხითაც გამოირჩევა. ყველა ჩვენგანმა ვიცით რამხელა დარდს ატარებს ორვაკაცობის მამა და მოფერებასთან ერთად ვერტიკული კიდევ მას. ამას თვითონაც კარგად აჩვენებს და ყოველთვის ცდილობს აქეთ გაგვახსენოს!

ამასწინანდელმა მისმა ნათქვამმა კი არ შეიძლება ყველაზე გულქვა ადამის ძესაც არ აუჩქაროს გულს:

„დიდი ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, ჩვენი პატრონი არაგინაა, არაგინაა ასხოსუ აფხაზეთი და იქ დარჩენილი უპატრონო საფლაგები. ცოცხლებზე არაფერს ვამბობ, ისინი დიდი ხანია ჩამოიწვრა და რაც ბოლო არჩენები ჩაატარა სააკაშვილმა და მისმა მითავრობამ, მაწანწალა ძაღლებივით დაერეკება მათ სახლიდან სახლში, იქიდან კი ქუჩაში!“

მე გადავწყვიტე – ფეხით ჩავიდე აფხაზეთში და ჩემსავით ორწილმთავრული მამა მოვიძო, სამხიბარი ვუთხრა მას და სანამ სული მიდგას ბორში, ოთხივე შეიღის სულის სახად აფგავლინო ღოცვა და დავანთო სახლები!

ყველაზე მეტად ხომ ახალგაზრდებს არ უნდრდა მტრობა და სიკვდილი!

ვინ დაუშლის რამეს ბატონ ანზორს, მი-თუშეტებს – საკუთარი და სხვისი შვილების გლოვას!

დემეტო იხსენ საქართველო დაუბრუნებელი შვილების სიკვდილისგან!

„ილერის“ ელ. ფოსტაზე მოსული, თითქმის ყველა წერილი გაზეთის ქება-დიდებას ეძღვნება, რაც მართალი გითხრათ გვაღიზიანებს კიდევ – **საქტარი რა დავმსახურეთ, ქვეყანა თავზე გვეწვივა!..** და, როგორც თქნა მოვიდა ის წერილიც, სადაც მკითხველი უკმაყოფილოა და აგრესიულიც. ბოლომდე ყურადღებით წავიკითხე. ახლა მე გაგებარა და პასუხისთვისაც მოვემზადე. მაგრამ მალევე გადავიარა და დავუბრუნე სიბრძნულის გრძობა გამიხდა ადამიანისადმი, რომელიც, უზნეო ბორის ღმრთობის მხილება, შეეცადა – **სამეგრელოს ღმრთობა წარმოქმნა** და ახევე ნაგავრივე ჯიპში ნაპოვნი ქალის საცვალი – **მეგრელი ქალის შემოყრის მომსახურება**..
„ბოლო-ბოლო მუ დაიშენა ართ სინძირ ბადიქი!“ (ბოლოს და ბოლოს რა დავიშავათ ერთმა გამოფიტულმა მოხუცმა!) ასე, მეგრულად, თანაც მომხდარის შერბილების მიცდვით და ამითარა ჩემთან უნებური კიდევ ერთმა, ინკონტროლ (დაფარული ნომრით მოსაუბრე), პირბინძურ ღმრთობის დამცველმა!

აქვე მინდა ვუპასუხო მას – ახლა გავიხდეთ უზნეო ბორისი, **„სინძირ ბადიქი“**, როცა მის გამოყვანას ცდილობთ მისსავე გაბინძურებულ **„ჰიტიკოს წისქვილიდან“**, თორემ, როცა იგი ზუგდიდის (მთლიანად სამეგრელოს თუ არა!) სკოლებსა და განათლების სისტემას მართავდა, მაშინ რატომ არ ურჩევდით **„დირჩინ დო ქიდიტირინი“** (დაბერდი და დაეტირო)!
ერთი ნარაზენელი ჟურნალისტი მომიყვას, თუ როგორ აროტესტებდა ნარაზენის სკოლის დირექტორი ქნი ლალი ჩაჩიბაია გაზეთ **„ილერის“** სკოლაში შემოტანას – **„გაზეთს რომელიც ბერიანე წერს, სკოლაში როგორ გავატაყვანებო!“**

ქნი ლალი ჩაჩიბაიას ვაუწყებთ – გაზეთი **„ილერი“** კი არ წერს ბერიანე, ბერიანე რუსმა მწერალმა და ისტორიკოსმა სერგეი კრემლიოვმა დაწერა ათასგვერდიანი წერილი, სადაც იგი დოკუმენტურად ასაბუთებს, რომ – **ის სინძირურები, რომელსაც ბერიანე მიაწერდნენ სტალინის მოწამებისა და ბერიანის დახვრების შემდეგ – ბორის ღმრთობისადმი ადამიანების ჩადენილი იყო!**

ბორის ღმრთობისადმი ადამიანები დღემდე გულმოდგინედ ასხამენ ლაფს ყველა იმ სიწმინდეებს, ქართველ ერს რომ ამშვენებს, რომელთა შორის – **მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები განსაკუთრებული სიამაყით ბრწყინავენ!**
სწორედ მათ მიადგა **„ნარაზენელთა სახე“** – ბორის ღმრთობა და უზარმაზარი სიღუბნის გადამდანი **„ფრონტიანების“** მუღღსებები მეძაგვებად გამოაცხადეს! ამაზე თუ აიმაღლეთ ხმა ქნი ლალი ჩაჩიბაია? სოფელს თავი დავანებოთ (თქვენ მათ ვერ აღზრდით), სკოლის მოსწავლეებს როგორ

აუხსნით პირბინძურ ღმრთობის საქციელს – **მთელი ნარაზენი და მისი შემოგარენი ბორისშიგლებად რომ გამოაცხადო?**

სკოლის დირექტორს, ჩვეულებრივ, სოფლის მაცხოვრებელზე ერთი წიგნით მეტი მინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, რაც თქვენ არ გეტყობათ, რადგან ვერ არჩევთ **„ბერიანე „ილერი“ წერს თუ რუსი ავტორი“**

ახლა მინც თუ ხვდებით, რომ ის რუსი ავტორი ცამდე მართალია – **ბორის ღმრთობისადმი არააყვები ცურავდნენ თანამემამულეთა სისხლში (არამარტო საქართველოში) და მერე სტალინის და ბერიანის მიაწერდნენ მას?!.**

მართლა ვაი სამეგრელოს და ჩვენს პატრონს უბედურს, იმ წერილში (**„გაგარია ხონი მარტილის გზაზე და ნარაზენელი ჰიტიკო მეწისქვილე“**), მკითხველმა, უზნეო ბორის ღმრთობის და ახევე უზნეო, უცნობი ქალის საცვლის მეტი თუ ვერაფერი ნახს!
„ილერი“ არ არის ის გაზეთი, რომელიც სოფლის ჭორებით ან კუთხური პრობლემებითაა დაკავებული! ზემოთხსენებულ წერილში დასმული პრობლემები ზოგადა-ქართულია და უბედურად საშინო ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის! ამიტომაც ხმამაღლა ვიტყვი – ბუნდირი ვიქნებოდით, საქართველოს **„მოდლაგიზაცია“** და **„ტრილანდიზაცია“** (როგორც მისი ავტორი ბნი დ. კაგალიშვილი უწოდებს), რომელიმე ერთი კუთხის, თუნდაც სამეგრელოს პრობლემა იყოს. ისინი, როგორც ზემოთ ვახსენე – **ზოგადაქართულია და იმიტომაც არის საშინო – ერის გადაშენების ძალის და წონის მქონდა ყველაფერთან ერთად!**

ამაზე დაფიქრდით ჩემო ძვირფასო და არა იმაზე თუ – **ვინ იცის, რა თანამედრობაზე დაბრუნდება ბორის ღმრთობის შვილი“** და ამის გამო უნდა გამოექმომაკოთ მის ზნეობადაკარგულ მამას!

გული ნურაფერზე დავწყვიტებთ, **„ილერი“** გარწმუნებთ – **კახა ღმრთობა არაგინი თანამედრობაზე არ დაბრუნდება საქართველოში, პირიქით, მალე სხვებსაც გაიყვლილებს აქედან!**

იქნებ მიგაჩნიათ რომ თქვენ უკვე მოქალაქეები ხართ, და დარჩენილი დღეების უზრუნველსაყოფად ირჯებით ასე გამწარებით?

არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ შეიძლება და შეიღიშეიღებების, მათი მომავალი თაობების საქართველოზე რომ გამართებთ ფიქრი, ეს რატომ გავიწყდებათ?

ზემოთ ვახსენე ნარაზენის სკოლის დირექტორი და მისი პრეტენზიები **„ილერის“** საგაზეთო თემაზე! სწორედ მას მინდა მიუბრუნდეს და კიდევ ერთხელ გადავაკვლიოთ თვალის იმ თემებს, რომლებიც **„ილერმა“** გააშუქა ბოლო ორი წლის მანძილზე!

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნო, ყველა გახმაურებულ გაზეთების მსგავსად **„ილერის“** არავინ უეჭეოვას წერილებს, არც ინსტრუქტაჟს უტარებს ვინმე მის ავტორებს! აქედან გამომდინარე, ჩვენი მოქმედების არგული თავისუფალია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა – **საკითხი საქართველოს, მის ტრადიციებს, რელიგიას, სუფიერებას, ზნეობას, სახელმწიფოს ერთიანობას და ეროვნულ თავმოყვარეობას ეხება!**

10 წლის წინ პირველად ითარგმნა ქართულად დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ვეილიჩის წიგნი **„კაკეკასია“**. წელიწადზე მეტი მონადირა მაშინ ამ საშუარი საქმის აღსრულებას ბატონმა როლანდ ჯაღაღანიამ. უსახსრობის გამო, მცირე რაოდენობით გამოიცა წიგნი და საწუქრად დაურთავდა მეტ-ნაკლებად წიგნიერ მკითხველს. **„ილერში“** კი მთლიანად გამოქვეყნდა.

ახევე შემთხვევით აღმოვჩინეთ და ქართულ-ინგლისურად ვთარგმნეთ **„ყარბის“** ფსევდონიმით მწერალი, ქართველი პუბლიცისტი, 1918-1921 წლების თავისუფალი საქართველოს პარლამენტის წევრის, პეტრე გელეიშვილის **„წითელი წიგნი“** და იგი დაკარგვას გადავარჩინეთ. მისი მხოლოდ ორი დედანი არსებობს საჯარო ბიბლიოთეკაში და ამ ორიდან, ერთია მხოლოდ წასაკითხად ვარგისი. გადავარჩინეთ – მეთქი იმიტომ ვამბობ – მავანთ რომ ამ წიგნის არსებობა სცოდნოდათ, ისევე როგორც, გასული საუკუნის დასაწყისში იდეალურადაა გულგებობა გადაიხდა 5 მილიონი ფუნტსტერლინგი ვ. ველიჩის **„კაკეკასის“** მთელი ტირაჟის გასანადგურებლად, ფულს არც გელეიშვილის **„წი-**

თელი წიგნი“-ს გაქრობისთვის დაიშურებდნენ, იმდენი რამ წერია ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ხალხების უკეთურ საქმეთა შესახებ. სწორედ ამიტომაც იყო ორივე ზემოთხსენებული წიგნი, აკრძალული და გასაქრობად გამეტყვებული ათწლეულების განმავლობაში, ქართველი ისტორიკოსები კრიტიკს რომ არ ძრავდნენ მათზე!

ვინ იცის, იქნებ არც იცოდნენ მათი არსებობა?!. მსგავსი წიგნების გამოძიებურება ხომ **„წახალისებას“** არ ექვემდებარებოდა კომუნისტების ხელში და უამისოდ, თან საკუთარი ინიციატივით, ნაბიჯს როგორ გადადგამდნენ ქართული ისტორიის ე.წ. **„დედები და მამები“** – დღეს რომ ბნი ანზორ შინიას უწუნიებენ **„ქართველი ერის ძველ კოლხურ ძირებზე“** წერას, მისი **„არაპროფესიონალობის!“** მომიხეხებით.

„წითელი წიგნი“, ახევე უსახსრობის გამო, მცირე რაოდენობით გამოვეცი ქართულ-ინგლისურად და მთლიანად დაიბეჭდა **„ილერში“**.

გასულ წელს გამოქვეყნდა კ. ბორისის **„სამეგრელო და სვანეთი“**, კ. შეღიას **„კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარბიჭე“, „კაცობრიობის ისტორია ქალხეთით იწყება“**, ა. შინიას **„კოლხეთი ქართველების წინაპრები“**, **„ლაზიკა, ლაზები – უდიდესი ქართული ტყვიანი“**, **„გერისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა“**, **„ჭეშმარიტება და სომხური სიბრძნე“** (რჯავლაძეა, დ. ქობალია, ნ. გომარა), **„ილერის“** ოცდაათამდე ნომერში გამოქვეყნდა **„მარტივის მუხუშუმის მასალები“**.

აღსანიშნავია, რომ, არცერთ კომუნისტურ (და არც დღევანდელ ფსევდოდემოკრატიულს) პერიოდულ გამოცემაში 70 წლის მანძილზე ამდენი ადგილი არ დაუთმია სა-მუხუშუმო მასალებისთვის, რაც **„ილერმა“** წელიწადნახევრში გააკეთა!

სასურველია მარტივის რაიონის ნაც. ხელმძღვანელობა რომ წაკითხავდეს ამ ინფორმაციას. როგორც შევიტყვეოთ ისინი, რატომღაც, მწკრალად არიან **„ილერის“** მიმართ განწვიბილი და ენთუზიასტებისათვის აუკრძალავთ მისი გავრცელება!

„ილერის“ ე.წ. **„მოწინააღმდეგეთა“** საყურადღებოდ მინდა განგაცხადო – არ არსებობს მოუნებელი ჭირი!.. და როცა საქართველო **„გარდისფერ ჭირსაც“** გადაიტანს, ისე ნუ იხამთ, თქვენი ნამოქმედარის გამო, სირცხვილით, ამ დალოცვილ ქვეყანაში არ დაგველოცებოდეთ!

ამჟამად, ცნობილი ნეოროქიურგის, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, აფხაზეთის ომი-სა და მისი წინა და შემდგომი პერიოდის აქტიური მონაწილის, ბნი ნაპო მესხიას უაღრესად საინტერესო წიგნი **„როგორ გახსვის აფხაზეთი“** ქვეყნდება.

მრავალმა ავტორმა სცადა ამ თემაზე კალამი და სექტანინათი წიგნებზეც გამოცხდა, მაგრამ ისეთი სიზუსტით და პირდაპირობით, როგორც ამას ბნი ნ. მესხია გამოხატავს, დღემდე არავის გაუბედავს. მიზეზი ერთია მხოლოდ – არცერთ მის წინამორბედს არ გააჩნია მესხიასული **„საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა!“** უკლებლივ, ყველა ავტორის ნაშრომს ეტყობა დროის და მადლჩინოსანთა გავლენა, რომელიც ქართულ **„არ ვაწყენინო“** გამოიხატება და ძირითადი – **„სახელმწიფო-ეროვნული ინტერესები და ღირებულებები“** კარგებოდა!

როგორც გარკვევა, სწორედ ამ ღირებულებების წინა პლანზე წამოვიყვანოთ გამოწუნობს ბნი ნ. მესხიას წიგნი, ზოგიერთი ყოფილი და მოქმედი მადლჩინოსანი და მას **„განაწყენებული კაცის დაწერილს“** უწოდებს!

გაზეთ **„ილერის“** რედაქციას – **ბნი მესხიას პირდაპირობა და ქვეყნის დამაქვევართა მიმართ დაუნდობელი დამოკიდებულება** მიანჩია მის უდიდეს ღირსებად, რადგან, დაღუპვის გზაზე მღვარი ჩვენი სამშობლოს ხსნა სხვაანარად შეუძლებელია!

წლევიანდელი წლის აღმოჩენად შეიძლება ჩავთვალოთ დიდი ივანე ჯავახიშვილის 1908 წელს გამოცემული **„ქართველი ერის“** ისტორია.

წიგნში, რომელსაც საუღლადგულად მალავენ ე.წ. **„ქართული ისტორიის დედეები და მამები“**, დიდი ივანე ჯერ კიდევ 100 წლის წინ გაუწყებს: **„...თუ რა მიზეზით არ ვხვდებით მადლჩინელობის ჩვენს ერის უბედულ ისტორიის გამორკვევის დროს „ქართლის ცხოვრებით“, ამის შესახებ ამ წიგნში იმიტომ არაფერია ნათქვამი, რომ**



კოლხეთი — ჩვენი საყვარელი ქარიბჭა

(გთავაზობთ ნაწილობრივ აკადემიკოს კლიმენტ ივლიანს ღებნიანი)
**“იბერია იყვება კოლხეთი, კოლხეთში ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე”
ლევან სანთაძე**

ტროცკი საბჭოთა აგენტებმა მოკლეს, მაგრამ არის ერთი უროტულესი და თითქმის დღემდე პასუხისმგებელი საკითხი: ყველა განხორციელებული სასამართლო პროცესი — ეგოროვის, ენუქიძის, ზინოვიევის, კამენევის, კრესტინსკის, ბუხარინის, რუშტაკის, ტუხაჩევსკის და სხვათა გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, ესწრებოდნენ უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები. ყველა განსაცხადებელი აღიარებდა თავის დანაშაულს. ამბობდნენ — აიძულვებიდნენ, აწამებდნენ — სწორია, მაგრამ ყველა ისინი გამოწვთობილი რევოლუციონერები იყვნენ და პროკურორის (გიშინსკი) გამოხედვის შემდეგ, რომელმაც მათი დახვრევა მოითხოვა, საბოლოო სიტყვაში მაინც, რატომ რომელიმე არ თქვა დანაშაულზე არ ვართო. მეორეჯერ ხომ არ დახვრედდნენ?

ამის შესახებ სტრატეგიული დახვეწის და კონტრდახვეწის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. ჯულია (ფსევდონიმი) წერს: “დამანაშავეთა ასეთი გულახდილი აღიარება შემთხვევითი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების გარეგანაშავე გი. ლენინი ამბობდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ერთი პერიოდული უხერხემლოდ იყო. სასამართლო ორგანოები საბჭოთა ხალხის უბოროტეს მტრებს, მათი დაპატიმრების შემდეგ “მონაიებისა” და დაპირების შემთხვევაში, რომ არ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დახვეწის ნაცვლად “საზოგადოებრივ საყვედურს” უცხადებდნენ და ათავისუფლებდნენ. ტროცკისტულ-ზინოვიეურ-ბუხარინულ-რიკოვულ ბანდიტებს ეგონათ, რომ თუ ისინი გულწრფელად მოყვებოდნენ თავიანთი მტრული საქმიანობის შესახებ, მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ”.

ბუხარინის უყენებდნენ ბრალდებას — ლენინის მკვლელობა ჰქონდა განზრახულიო. ეს ბრალდება მან არაფრით არ აღიარა, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი განზრახვა მას ნამდვილად არ ჰქონია. როცა 1938 წლის სასამართლო პროცესზე ბუხარინის კონტრრევოლუციური მოღვაწეობის ეს ეპიზოდი ამოტივტივდა, იგი ისტერიულად აყვირდა: “მე ლენინის მოკვლა კი არ მინდოდა, არამედ ლენინის საქმის! მაგრამ ბუხარინს უარი არ უთქვამს თავის ხელნაწერზე: “გვდილობ, სტალინს ჩამოვაშორო პოლიტიბიუროს სხვა წევრები, მაგრამ ჯერ ცულად გამომდის”.

არ შეიძლება იმ უდიდესი მსხვერპლის რაიმე საშუალებით გამართლება, რაც “შახტის საქმეს”, ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ დონისიძიებას (კოლექტივიზაციას), განკუთვალა, 1937-1938 წლების ამბებს და სხვა საშინელებებს მოჰყვა, სულ ერთია, ვისი მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო ისინი, პირველ რიგში, სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი.

მაგრამ ერთი რამ სწორი უნდა იყოს: ქვეყანაში ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის რადიკალური გარდაქმნა, ეკონომიკის სწრაფი, თითქმის არანახული განვითარება რომ არ მომხდარიყო, შეუძლებელი იქნებოდა უდიდესი ომის მოგება. ისიც ცხადია, ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების პირობებში ქვეყანაში ოლიგარქები გაბატონდებოდნენ, ასეთი ქვეყანა კი ვერ შესძლებდა შესაფერისი წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის — მაღალ დონეზე განვითარებული ეკონომიკისა და უსაზღვროდ დისციპლინირებული და უჩვეულოდ ორგანიზებული სამხედრო მანქანის შემოჭრისათვის. რუსეთის სოფლის მეურნეობა კულაკური განვითარების ვითარებაში, თანდათან გადაიქცეოდა მსხვილ ლატიფუნდებიად და ასეთი ქვეყნის ზურგი ვერ დაამარცხებდა ვერმახტის ძალებს.

მოსკოვში გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლომონოსოვის სახელობის პროფესორის, ლომონოსოვის სახელობის ვლადიმერ ვახანიას წიგნი (ეს ის ვახანია გახლავთ, რომელიც აბსურდული ბრალდებით უკვე მეორე წელიწადია პყავთ ციხეში გამოკეტილი მიხეილ სააკაშვილს და მის დამკაშებს — “ილორი”) “ი.ბ. სტალინის საიდუმლო სამსახური (დოკუმენტების კრებული)”. ნაშრომი დაწერილია სტრატეგიული დახვეწისა და კონტრდახვეწის მასალების მიხედვით — ძირითადად, ი. სტალინის პირადი საიდუმლო არქივიდან. ზოგიერთი ადგილის განმარტებისათვის ავტორს შეტანილი აქვს ისტორიკოსის, პროფესორ ვლადიმერ ჟურხაის შენიშვნები, რომელსაც იოსებ სტალინზე გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი შრომები...

...როგორც ვ. ვახანია აღნიშნავს, შექმნილი ვითარების გამო 1925 წლის ბოლოს იოსებ სტალინი იძულებული გახდა, შეექმნა პირადი კაბინეტი და საიდუმლო სამსახური — სტრატეგიული დახვეწა და კონტრდახვეწა, რომელსაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა სერგეი ნიკოლაევი, შემდეგ გენერალი ალექსანდრე ლავროვი, ალექსანდრე ჯულია და იური მარკოვი (ფსევდონიმები). ამ უწყვიდან წამოსული ყოველგვარი შეტყობინება იოსებ სტალინს ვეზავებოდა ივანოვის სახელზე.

“სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის” ამოცანა იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა საქმიანობაზე ყოველდღიური, საგულდაგულო დაკვირვება, მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობისა და იდეურ მიმართულებების შესწავლა და მათი ყოველდღიური საზრუნავის რეგულარული გაშუქება, განსაკუთრებით კი კულისებსმიდამ ძალებისა, რომლებიც მათ ზურგს უკან იდგნენ და სინამდვილეში მართავდნენ მსოფლიოს.

პირადი საიდუმლო სამსახურის შექმნილი სტალინის საშუალება მიეცა განდევნილებისა ყველა შეთქმულება და ოპოზიციური მიმდინარეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, — წერს ვ. ვახანია.

საინფორმაციო ცნობაში ა. ჯულია “სრულიად საიდუმლოდ, მხოლოდ ამ. ივანოვისათვის” — წერდა: “სამოქალაქო ომის დროს განადგურდა დაახლოებით ორმანხევარი მილიონი აქტიური კონტრრევოლუციონერი, დაახლოებით ამდენივე გაიქცა საზღვარგარეთ. დანარჩენები კი დარჩნენ ქვეყანაში და პოტენციურად ქმნიან ანტისაბჭოთა და ჯაშუშურ მოღვაწეთა ბაზას”. ასევე მიუთითებს ზოგიერთი კომუნისტის ანტისაბჭოთა გადაგვარების მიზეზზე: ალბათ, ყოველივე ამის გამო, 1934 წლის 5 ნოემბერს საქმიანობის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან (სამინისტროსთან) შექმნა განსაკუთრებული თათბირი, ხოლო ცპკ-ის პოლიტიბიურომ 1934 წლის 8 აპრილს დაადგინა: უფლება მიეცეს შინაგან კომისარიატს საზოგადოებრივად საშიშად მიჩნეული პირები ღია ზედამხედველობით გაასახლოს 5 წლის ვადით დედაქალაქებში, დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ცხოვრების აკრძალვით, მოათავსონ შრომა-გასწორების ბანაკებში და ბანაკებთან არსებულ საიზოლაციო შენობებში. “უფლება მიეცეს შინაგან კომისარიატს, პირები, რომლებიც ეჭმიტანინები არიან ჯაშუშობაში, მანვებლობაში, დევრისიულ და ტერორისტულ საქმიანობაში — მოათავსონ საპრობრდებლო 5-დან 8 წლამდე ვადით, განსაკუთრებული თათბირის სხდომაზე აუცილებლად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი, ან მისი მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ არ დაეთანხმება, მას შეუძლია გამოიტანოს პროტესტი, რომელიც გაიგზავნება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული თათბირის გადაწყვეტილება შეჩერდება საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი დადგენილების გამოტანამდე”.

ტროცკისტული ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის საქმიანობის შესახებ საზღვარგარეთიდან მიღებული ცნობით დადასტურებულია, რომ: ლევ (ლეიბა) ტროცკი გერმანული დახვეწის აგენტია 1921 წლიდან, ინგლისისა — 1926 წლიდან, ნ. კრესტინსკი — გერმანიის დახვეწის აგენტი 1921 წლიდან; ა. როზენშოლცი — გერმანიის დახვეწის აგენტი 1923 წლიდან; მ. ჩერნოვი — გერმანული დახვეწის აგენტი 1928 წლიდან, მის გადაბირებაში მონაწილეობდა საზღვარგარეთ მცხოვრები, ცნობილი მენშევიკი დანი; ვ. შარანოვი — პოლონეთის დახვეწის აგენტი 1921 წლიდან; გ. გრინკო — პოლონეთისა და გერმანიის დახვეწის აგენტი 1932 წლიდან. ტროცკის წარმომადგენელი სისტემატიურად ხვდებოდა გერმანიის სამხედრო უწყების წარმომადგენლებს (რაინსვრის სარდალს სექსს და გენშტაბის უფროსს ჰესესს), რომლებიც ტროცკის, სხვა თანხებთან ერთად, ყოველწლიურად აწოდებდნენ 250.000 მარკას.

ვლადიმერ ჟურხაი წერს: “ლევ ტროცკი — უსასტიკესი სახელმწიფო მოღვაწეთაგანია, მისთვის უცნობი არ იყო მასობრივი დახვეწები, იგი საკონცენტრაციო ბანაკების შექმნის ინიციატორია... ტროცკი იყო კახაკების, მარტომადიდებულური ეკლესია-მონასტრების ფიზიკური განადგურებისა და ძარცვის მთავარი ორგანიზატორია... მისმა თანამებრძოლმა და პროტექტემ ტუხაჩევსკიმ სამოქალაქო ომის წლებში თავი გამოიჩინა როგორც სადამსჯელო ოპერაციების სპეციალისტმა, ხელმძღვანელობდა კონსტრუქციის აჯანყებისა და ტამბოვის ვუბერნიაში ანტონოვის გლეხთა აჯანყების ჩახშობას, ფართოდ იყენებდა მომწამლავ ნივთიერებებს, მასობრივ დახვეწებს, მიყვალთა წამებას, ანადგურებდა მთელ სოფლებს; ქმნიდა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკებს”.

ლევ ტროცკის ვაჟი — სედოვი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა საბჭოთა კავშირში მიქმედ ტროცკისტულ ორგანიზაციებს, გარდაიცვალა ნიცაში (საფრანგეთში) აპენდიციტის ოპერაციის ჩატარების პროცესში, ნარკოზის ზედმეტი დოზის მიღების შედეგად. აღნიშნული აქცია განახორციელეს ლავროვის თანამშრომლებმა. სსრკ შინაგან კომისარიატის მიერვე, ეს “დამსახურება” საკუთარი თავისთვის მიეწერა. გახალისებული სტალინი ამის შემდეგ აკვირდებოდა მას, როგორც ადამიანს, რომელსაც ფაქტების ფაქტისფერობა შეუძლია.

სტრატეგიული დახვეწისა და კონტრდახვეწის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. ლავროვი იძლევა ასეთ ინფორმაციას: “ნადევიდა სერგეენა ალილუევი (ი.ბ. სტალინის მეუღლე) ახლო მეგობრული ურთიერთობები აქვს ბუხარინთან, ენუქიძესთან, რედეოსთან, მიქოიანის ცოლთან — აშხენთან, მოლოტოვის ცოლთან — პოლინა შეშუინასთან, ცოლ-ქმარ სვანიძეებთან, სიმპატიით არის განწყობილი კამენევის, ზინოვიევის, ტროცკისა და სხვა ვივინდურების მიმართ... პრომაკადემიაში მოსწავლეთა შორის საზურბის დროს იწონებს ანტისაბჭოთა რიჟინის (მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი — კ.შ.) პროგრამის. ა. ლავროვი (ხელმოწერა)”. პრომაკადემიაში ალილუევა კარგად იცნობდა ხრუშჩოვსაც. იოსებ სტალინი, თავისი განსვენებული მეუღლის პატივისცემის წყალობით, თითქმის ყოველთვის კარგად იყო განწყობილი ნიცა ხრუშჩოვის მიმართ.

ცნობილია, რომ 1934 წლის 1 დეკემბერს ს. სერგეი მირონის ძე კიროვის მკვლელობის მონაწილეები — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იაგოდა და სხვები მკაცრად დაისჯნენ, მაგრამ სსრკ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე ნიცა ხრუშჩოვი და მისი თანამოსაქმეები შეეცადნენ კიროვის მკვლელობის ბრალდება მოეხსნათ ლენინგრადის ტროცკისტული ცენტრისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო უცხოეთის დახვეწასთან და რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კამენევი და ზინოვიევი. ხრუშჩოვიმ განაცხადა, რომ “არაინ მოწმეები”, რომლებიც თითქმის ადასტურებენ, რომ კი-

როვის მკვლელობაში ლამის თითონ სტალინი დამანაშავე ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პროვოკაციულ “დასაბუთებას” — თითქოს სტალინი დაკავშირებული კიროვის მკვლელობასთან — აქტიურად ავრცელებდა ხალხის მტერი ტროცკი. ხრუშჩოვისა და შელეპინის მტკიცება, რომ კიროვის მკვლელობასთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული სტალინი, შემოწმებით იმდენად ყალბი და პროვოკაციული აღმოჩნდა, რომ ამ “საქმის” შესასწავლად ხრუშჩოვის მიერ შექმნილი ცკკას კომისია იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ამგვარი მტკიცების არავითარი საფუძველი არ არსებობს. (ვ. ვახანია).

კიროვის მკვლელობის ორგანიზატორები — კამენევი და ზინოვიევი დახვრიტეს 1936 წლის 26 აგვისტოს, ხოლო ამის ცოტა ხნით ადრე სტალინმა ვოროშლოვისა და ეკოვის თანდასწრებით პირადად დაკითხა ზინოვიევი და კამენევი.

ჯერ კიდევ ევროპაში მყოფი ტროცკი 1935 წლის დეკემბერში შეხვდა ჰიტლერის მოადგილე ჰესსს, დაიღო შეთანხმება: “...დაეთანხმები ტერიტორიულ დათმობებს, ციკლების ფორმით (ან სხვა რაიმე ფორმით), უფლება მიეცეთ გერმანიის მრეწველებს სსრკ-ში ექსპლუატაცია გაუწიონ ისეთ საწარმოებს, რომლებიც გერმანიის მეურნეობის აუცილებელი ეკონომიკური დანაშაბა — (რკინის მადანი, მარგანეცი, ნავთობი, ოქრო, ტყე). სსრკ-ში შექმნას ხელსაყრელი პირობები კერძო გერმანული მრეწველობის საქმიანობისათვის”.

1935 წლის დეკემბერში ჟურნალისტმა კ. რადეკმა (ტროცკისტმა) მიიღო ტროცკის საღირვეტიული წერილი, რომელშიც ნათქვამია: სსრკ-სადმი მტრულად განწყობილი უცხოეთის სახელმწიფოების დახმარების გარეშე საბჭოთა მთავრობის შემცველი მთავრობა ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს: “უზარმაზარ იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიძლება ხელისუფლებაში მოსვლა უმნიშვნელოვანესი კაპიტალისტური სახელმწიფოების კეთილსასურველი დამოკიდებულების გარეშე, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისადმი ისეთი აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოებისა, როგორც გერმანიისა და იაპონიის ახლანდელი მთავრობებია. სრულიად აუცილებელია ამთავითვე ვიქონიოთ ამ მთავრობებთან კონტაქტი და მოლაპარაკება”. და შემდეგ: აუცილებლად მოგვიწვეს დაეთანხმდეთ ტერიტორიულ დათმობებს, იაპონიას დაუთმეთ ზღვისპირეთი და ამურისპირეთი, გერმანიას — უკრაინა.. გერმანიისა და იაპონიის კაპიტალის სსრკ-ში საქსპლოატაციოდ შემოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნის მსხვილ კაპიტალისტურ ინტერესებს. სოფლად ჩვენ გამოგვკვებან ის ფენები, რომლებმაც ვერ დაძლიეს კაპიტალისტური ფსიქოლოგია და უკამყოფილონი არიან კოლმეურნეობებით (სტალინის შენიშვნა: “ლაპარაკია უკულებზე”).

“... საჭიროა დროულად დავიხიოთ უკან, კაპიტალიზმისაკენ, რამდენად შორს, როგორი მოცულობით, ახლა ძნელი სათქმელია — ამის კომენტირება მხოლოდ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიძლება”.





სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

რატომ არავის აინტერესებდა ეს ამბავი? კი მაგრამ, როგორ?! დაიბადა საზღვრისპირა სიტუაციის პირობებში საზღვარზე დაფრენს გაურკვეველი თვითმფრინავი და სასაზღვრო განრიგს სრულიად არ აინტერესებს, რას აკეთებს აქ ეს პილოტი?

ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარზე, როგორც იტყვიან: ყოველი ხის ან ბუნქის ძირას, ამ საბჭოთა თვითმფრინავს ელოდნენ.

კი მაგრამ, რატომ ელოდნენ მას? ვის სჭირდებოდა, თანაც დროის რეალურ მასშტაბში, სახაროვის მიერ შეგროვებული სადაზვერვო მონაცემები? დარწმუნებული ვარ, რომ ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოგუბებნოთ: არა უგვიანეს 1941 წლის 18 ივნისსა, სტალინმა პიტლერის განაზრახვის პირადი სტრატეგიული ზონდირება მოახდინა.

კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ იმ წლის ზაფხულში შექმნილი სიტუაცია... სტალინი მოახლოებული იმის შესახებ ინფორმაციებს იღებდა საზღვარგარეთ მდებარე სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის (მერკულოვი), გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გოლიკოვი) ლეკალური და არალეკალური რეზიდენტურისაგან, ასევე სამხედრო ატაშეებისა და სხვა დიპლომატიური არხებიდან. მაგრამ, შეიძლება ეს ყოფილიყო დასავლეთის სამყაროს სტრატეგიული პროეკაცია, რომელიც საკუთარ ხსნას მხოლოდ გერმანიასა და საბჭოთა კავშირის საომარ დაპირისპირებაში ხედავდა.

მაგრამ არსებობდა ლავრენტი ბერიას მიერ შექმნილი საბჭოთა სასაზღვრო დაზვერვა, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა არამც თუ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიც გახლდა. ეს იმდენად ინტეგრირებული და სხვადასხვა განმტოვებული იყო, რომელიც ურთიერთშეჯერებული სადაზვერვო ინფორმაცია გახლდათ, რომ მისი რეალობა არავისში იწვევდა ეჭვს. სწორედ ეს ინფორმაცია ადასტურებდა უახლოეს პერიოდში იმის დაწყების გარდაუვალობას.

ანალოგიური (და დამოუკიდებელი) ინფორმაცია შემოდიოდა აგრეთვე სასაზღვრო ჯარების ოლქების სადაზვერვო ქვედანაყოფებიდან. და მათი ჭეშმარიტებაც უნდა ვერწმუნა. მაგრამ, როგორ უნდა გადაეკონტროლებინა ყველაფერი საბოლოოდ?

იდეალური ვარიანტი იქნებოდა – თავად პიტლერისათვის კეთება მისი ნამდვილი განაზრახვის თაობაზე. სწორედ პიტლერისთვის, და არა მისი გარემოცვისთვის, არღან ფიურერს, მისი გარემოცვისათვის მოულოდნელად, ხშირად შეუცვლია ხოლმე ამა თუ იმ დონის ძიების ჩატარებაზე გამოცემული ბრძანების თარიღი! და სტალინი 1941 წლის 18 ივნისს მიმართავს პიტლერს, რომ ბერლინში სურს გამორჩეულად მოლოდინით ურთიერთობის სულტაციისათვის. მე საზღვარსთან აღვნიშნავ, ძვირფასო მკითხველო, რომ გაუწყობთ კონკრეტულ ფაქტს და არა რაიმე პიპოტუნას! სტალინმა მართლაც გაუგზავნა პიტლერს ამ შინაარსის წერილი.

პიტლერი არ პასუხობს. თუ იგი პასუხის გამოგზავნას გადავხედავთ, ესეც თავისებური მტკიცებულება იქნებოდა იმისა, რომ გერმანია ომს დაიწყო. მაგრამ პიტლერმა საერთოდ არ უპასუხა ამ წერილს. და სტალინი მაშინვე მიხვდა: ეს – ომია. და საბოლოო შემოწმებისათვის დაზვერვაში გაავსავსა სახაროვი, უფრო ზუსტად, განკარგულა გაცხად, რომ საფუძვლიანად დაეზვერათ საზღვარი, რაშიც ლავრენტი ბერია ჩართო.

ცნობები სტალინის მიერ პიტლერისადმი გაგზავნილი წერილის თაობაზე მოიპოვება გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის ფრანც ჰალდერის დღიურში. ნების-

მიერი ისტორიკოსისათვის ნორმატიულ აქტად ქცეული ეს წერილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხედრო გამოცემლობის მიერ ჩართული იქნა 1968-1971 წლების აღმანახში, მეორე ტომის 579-ე გვერდზე, სადაც 1941 წლის 20 ივნისის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ: "მოლოტოვს სურდა, რომ 1941 წლის 18 ივნისს განაზრახებოდა ფიურერს".

ერთი ფრაზა... მაგრამ ამ ერთი ფრაზით დასტურდება, რომ სტალინი სთავაზობდა პიტლერს მოლოტოვის ბერლინში სასწრაფო ვიზიტს. ეს კი მთლიანად ყირაზე აყენებს ჩვენი ისტორიკოსების მიერ ომის წინა დღეებში ასახულ სურათს!

მთლიანად! ეს ფუნდამენტური ფაქტი პირველად ახლავს არსენ მარტიროსიანცმა თავის ბრწინვალე გამოკვლევაში: "22 ივნისის ტრაგედია: ბლიცკრიგი თუ დალატი? სტალინის სიმართლე" (M. Ryza, ЭКМО, 2006), რისთვისაც მის მიმართ მაღლობის მეტი არაფერი შეუქმნია.

ამრიგად, გამორიცხული არაა, რომ 18 ივნისს სტალინის მიერ შეთავაზებული წინადადება, რომელიც უგულვებელყო პიტლერმა, ჰალდერის დღიურში მოხდა მას შემდეგ, რაც მისი არსებობის თაობაზე შეიტყო გენერალმა. ამიტომ, საგარეოდ, რომ სტალინმა ეს წერილი პიტლერს გაუგზავნა 1941 წლის 17 ივნისს საღამოს, მას შემდეგ, რაც გაესაუბრა მერკულოვსა და ფიტინს, რომლის თაობაზეც მე მოგვიანებით მოგიხსრობთ.

პიტლერის მიერ სტალინის შეთავაზების უგულვებელყოფის შემდეგ აუცილებელი არ იყო ყოფილიყო მინცდამინც სტალინი, რათა გაეკეთებინა იგივე დასკვნა, რაც გააკეთა პოლკოვნიკმა სახაროვმა: "ომი დაიწყება დღე-დღეზე".

და სტალინი ავალეს თავდაცვის სახალხო კომისარიატს, ჩატარდეს სასწრაფო და ევგენკტური სადაზვერვო სამუშაოები და დეტალებში დადგინდეს საბჭოთა კავშირის საზღვრებს გაღმა შექმნილი მდგომარეობა. აქვე უსვამს ხაზს, რომ დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება უნდა დაეფუძნებინა მძალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ავიაციის სამხედრო მეთაურს. შესაძლებელია, რომ მან ეს დაავალა მისცა საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მაშინდელ სარდალს გენერალ ჟიგარეცს, რომელიც 1941 წლის 18 ივნისს, ღამის პირველი საათიდან ღამის ორ საათამდე იმყოფებოდა იოსებ სტალინის კაბინეტში, ხოლო მან მინსკში დარეკა და შესაბამისი დაავალა მისცა გენერალ კოპეცს.

შეუძლო კი კოპეცს პოლკოვნიკ სახაროვზე უკეთესი კანდიდატურის მოძებნა?

მეორე მხრივ, სტალინი ბერიას ავალებს, რომ უზრუნველყოს ამ გამოცდილი მფრინავის მიერ შეგროვული ინფორმაციის მოსკოვში დროულად გადმოგზავნა.

ამიტომაც, საზღვრის მივლე პერიმეტრზე ფრენის განმავლობაში, ყოველ ბუნქთან თუ ხესთან ელოდებოდნენ სახაროვს საბჭოთა მესაზღვრეები, არც კი კეთიხეობდნენ ვისი იყო ეს თვითმფრინავი და ვინ იყო თავად იგი. იგი ხომ "ხელსაყრელ" მინდურებზე ჯდებოდა არა საკუთარი ინიციატივით. მას ნაბრძანები ჰქონდა, რომ ყოველი 30-50 კილომეტრის ფრენის შემდეგ დაესვა თვითმფრინავი და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებინა მესაზღვრეებისათვის.

და ეს კეთილდობლა პერიოდულად, დროის რეალურ მონაკვეთში, და არა სადაზვერვო ფრენის დამთავრების შემდეგ, რადგან, ჯერ ერთი, დრო აღარ ითმენდა! ბერიასგან ამ ინფორმაციებს უშუალოდ სტალინი ელოდა. თვითმფრინავ "Y-2"-ის სიჩქარის გათვალისწინებით (რომელიც მოგვიანებით "PO-2"-ად გადაკეთდა), რომელიც 150-200 კილომეტრს შეადგენდა, 400 კილომეტრის სავალსაზღვრო ხოლმე გადაფრენას არც თუ დიდი დრო დასჭირდებოდა.

მეორე მხრივ კი... მეორე მხრივ, რაღაც მომენტში გერმანელებს სახაროვის ჩამოვლება შეუძლოთ. ამ შემთხვევაშიც კი, ბერიას ხელი სტალინიან მაინც მოხვდებოდა გარკვეული ინფორმაცია.

ის ინფორმაცია კი სრულად მივიდა სტალინიან. და უკვე 18 ივნისის საღამოს სტალინმა დარწმუნებით იცოდა – ომის დაწყებას წინ არაფერი უდგას!

გამორიცხული არ არის, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილ რეკონსტრუქციაში რაღაცის შეცვლა იყო შესაძლებელი (განსაკუთრებით მაშინ, თუ სახაროვმა ფრენა განახორციელა 17 და არა 18 ივნისს), ე. ი. ჯერ იყო სახაროვის სადაზვერვო გაფრენა და სტალინმა მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნა პიტლერს შეტყობინება. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ ეს ორი მოვლენა მოხდა პარალელურად, მაგრამ უტყუარია, რომ ეს ორი მოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

როცა დარწმუნდა, რომ პიტლერი რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებს, სტალინმა შესაბამისი განკარგულებები მისცა სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატს, სამხედრო-საზღვრო ძალებისა და ფლოტის სახალხო კომისარიატს და შინსახკომს.

ყოველივე ეს არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო უცხო თვალისათვის, რაც დასტურდება კიდევ 1941 წლის 21 ივნისს მერკულოვის მიერ სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას სახელზე გაგზავნილი წერილებიდან.

წერილში მოყვანილი იყო მოსკოვში მყოფი ორი უცხოელი დიპლომატის დიალოგი, რომელიც ამავე წლის 20 ივნისს შედგა. მათი ვინაობა და ის, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენდნენ ისინი, და მათი წერილის ტექსტი მოყვანილია კრებულში: "პიტლერის საიდუმლოებები სტალინის მაგიდაზე". საინტერესოა ამ დიალოგის ტექსტი:

...როდის ჩამოვიდა თქვენი გენერალ-ლეიტენანტი?..

...გუშინ. იგი შეხვდა ტიმოშენკოსა და შუკოვს.

...თქვენი მათ ახლდით?

...დაიხ, ვახლდი.

...?!.

...და არაფერი შეგეკითხათ? ტიმოშენკომ კარგად იცის, რომ თქვენი გენერლისაგან ამომწურავ პასუხს ვერ მიიღებ... აქ კი ყველაფერს შფოთავთ: ომი, ომი!

...დაიხ, დაიხ, რუსებმა იციან...!

დაიხ, რუსებმა იცოდნენ!

იცოდნენ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის სადაზვერვო სტრუქტურების მრავალბუნებრივი შესაძლებლობის უდიდესი ძალისხმევა სტალინმა ყველგან უზონდავით დააგვირგინა!

სწორედ ამიტომ, დამაჯერებლად გამოიყურება სსრ კავშირის დეპშოთა სააგენტოს (TACC) მიერ 1941 წლის 14 ივნისს გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ "საბჭოთა კავშირის ხელთ არსებული ცნობების შესაბამისად გერმანიას შორის გაფორმებული ურთიერთობის შორის მრავალფეროვნებისა და თავდაუსხმელობის პაქტის მოთხოვნებს და ხმები ამ პაქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩინა..."

სწორედ ამ განცხადების ფონზე ვახლდათ სრულიად რეალური სტალინის მიერ პიტლერისადმი გაგზავნილი წერილი მოლოტოვის ბერლინში ჩასვლის მოთხოვნით.

ასე რომ, დეპშოთა სააგენტოს (TACC) განცხადება ვახლდათ სტალინის ჩატარებული ზონდავის პირველი ეტაპი.

ზონდავის მეორე ეტაპი ვახლდათ წერილი პიტლერის სახელზე, მოლოტოვთან სასწრაფოდ შეხვედრის მოთხოვნით.

პიტლერის მიერ ამ წერილის იგნორირება თავისებური "ლაკმუსის ქაღალდი" იყო.

გაგრძელება იქნება

მებრული პროგრის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

ყალმაქ ქილეფ ქალენწყუ დო შორც, ცადალუს დალუ თოლი: – მოჯინელი მუთა მიჭირც, ვართ გურ მიღუ გვალო ღოლი.

ნაქომონჯუ ქორდუ, მარა... ორტყაფ ქივიწიაპუ დო შურო ვემიხუნუ ქვარა.

ნანჯარ ვორექ, ქოინქუნა, თურქიშ ტყვიათ თექ დიბჭყოლი; ნოტე გეშაბლაფუდუკო მა, ბედნირელც, შური-ჭყორი!

ნოსას ბეჭედ გაგწოთხუ დო მარებელცი გაგწეს ფარა, სენცი ქური ქიგიაშქუ... სიხაქ დინწალ დახეგარა!

– აბა, აბა! – განჭყორესი, გუდღანესი ბედიშ ნღღანი, ხოლო ოჭიშუანქია... ვალაგიდა, ორჩხეს, ხამი!

კოც მუ მოძუნ ქურქუდასინ, გაგწუნდუნ ღურუს დუცუ, ვართ შეგას ყვიღუნდ, უყვიაჭარე, გინჯირუდუ მარტკან ხუცუ.

დეკვირია ლეზიასი მუჭო ურჩინ მუშ ხერხალი. მოლა, ჭურა გამნანჭყი დო სამოჭყულო გეგინხვამი!..

იბირდუ დო იხაფაჩუდ, ცაშა ქექას გუტუნდ შურცუ, მარა... ირფელ ფულირი რე, ცოდაშ ჩუან თეშენ ფუნცუ.

გედირთუ დო ქაწყუნუ ხებიგამი გადარეფცი! მეულა დო მიბიცანა, აპეჯენა მახანეფცი...

ვართ მა მიჩქუ, მუ მეღუნი, ტყურათ ფხირკა ჩხე ტუტასი, ვარა მერჩხათ ორაგადეს ვაბობრდიშანდ მთელ თუთასი.

ოხვამური ქანჭყესი დო რჩინ ოჩაგათ ქახამესი, მარებელქი მუშით ქადირთ ოსურსქუას – შქახანერცი.

ღორონთქ დაფარ, ზღვას ხინჯი დო ცას ეშე ტკვა მეზუდასი, ვარა მურიცხ ბერჭულიათ მერთომებულ ხეკუნტასი.

ისეთ ბრელი ვაუვარებუ,

ყალმათიამ უღვაშები გაისწორა და თქვა მიძიმედ: – შესახედად არა მიშავს, არც გული მაქვს მთლად ფულურო.

თუმცა იყო ნაქმარევი. სარტყელი ისე მოივრო, მუცელი არც ეტყობოდა.

ომშიც ვიყავ, ეს თქვენც იცით, თურქის ტყვიაც მომხვდა ბეჭში, ნეტავი ამომხდომოდა, მაშინ სული, მე ბედდამწვარს.

რძლის ბეჭედი ინათხოვრა ფული მარებელს ესესხა... როცა დაჭკრა საინს ფეხი, ლამის იძრა დედამიწა,

– რას ამბობო, და შემოწერენ, არ მოსწონდათ ბედის გმობა. – ჯერ კიდევაც მოაწრებ თუ არ ჩააგებ ხმაღს ქარქაში...

კაცს რაც ელის, რომ იცოდეს სიკვდილს თავს გამოსტაცებდა, არც მკვლელობას ჩაიდუნდა მხარ-თეძოზე დაწვებოდა.

ხომ ხედავთ, რომ ლობიოსაც კი სჭირდება მარგილიო... – დროა ჭურს თავი მოხადო საქორწილოდ დაილოცო.

იმდერებდა, მოიღხენდა, სულს დაღვედა უდრტვინველად, მაგრამ ყოველი დაფარულ არს, ამიტომ დულს ცოდვის ქვაბი.

– ჰოდა, ახლა წინ გავვიძეხ ხელ-ჯოხიან ბერიკაცებს... მიდიან... და იცინიან, პატიუებენ თანატოლებს.

არც მე ვიცი, რა მომელის, ტყვილად ვხსრეკ ნაცარს ცხელსა, თორემ მოკლედ სათქმელ სიტყვას არ ვიტყვოდი მთელსა თვესა.

სალოცავ ჭურს თავი მოხსნეს, ბებერი თხაც გაატყავს... .. და მიადგა მარებელი შუა ხნის ქალს მუჟავაში.

ღმერთმა ნუ ჰქნას: ზღვაზე – ხიდი, ცამდე კიბე აღიოდეს, თორემ ვარსკვლავს ბროწეულად მიიწნევენ ხელმრუდენი.

ისიც არ იყო უარზე

ანჩაბაძე (ანბა) ტარას ზურაბის ძე აფხაზეთის ღირსეული შვილები

ამას წინათ ჩვენმა აფხაზეთმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვარდეს არველოდი კუპარავს სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დატოვეს აფხაზეთის ისტორიაში. რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნიდან დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ში გამოჩენილი ნიჭისა და მამაცობისათვის და თადარიგში პოლკოვნიკის წინით გავიდა.

ანჩაბაძე (ანბა) ტარას ზურაბის ძე (1859-1935)
ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძე გახლდათ ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის კადრის ოფიცერი. იგი დაიბადა 1859 წლის 28 მარტს სამურზაყანოს მაზრის უღამაზეს სოფელ ოტობაიაში (ახლანდელი გაღის რაიონი).

1907 წელს ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძე არჩეულ იქნა სოხუმის საქალაქო მმართველობის წევრად და გახლდათ სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სპეციალისტი. მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა აფხაზეთის სოფელ ფსუფსიდან მუკაჯირობის მომიხეხებით აფხაზი მოსახლეობის ძალით გამოსახლებაზე. რაც დღეს აფხაზეთის ტრავიკული ისტორიის ამ მონაკვეთის ერთ-ერთ ფასდაუდებელ განმადითველა. იგი ლექსებსაც წერდა, თუმცა არასოდეს გამოქვეყნებია. ლიტერატურულ წრეებში ცნობილი იყო ფსუფსიში იმ "აფსუა". 1911 წელს დიდი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი სოხუმში შეხვდა ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძეს და მის შვილს – ვიანორს, რომელიც მაშინ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა.

მისი მამა ზურაბ ჯამლეითის ძე ანჩაბაძე (ანბა) (1830-1859), დონის კაზაკთა №11 პოლკის პროპორჩიკის წინით მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853-1856 წლები). 1854 წელს მან ერთდროულად მიიღო პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება და მედალი "თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის". მან, როგორც გულადმა ოფიცერმა, თავი გამოიჩინა ბათუმის მიმართულებით სელიმ-ფაშას კორპუსის წინააღმდეგ გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რისთვისაც ასევე მიიღო სოფიდური ფულდო ჯილდო. ომის დასრულების შემდეგ მსახურობდა სამურზაყანოს სასახლვრო რაზმის მეთაურად და გამირუდად დაიღუპა შეიარაღებულ კონტრანდისტებთან გამართულ ერთ-ერთ შეტაკებაში.

ტარასი ანჩაბაძე ლიტერატურისა და კულტურის სხვა ბევრ მოღვაწესაც შეხვედრია. ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძეს შორს ჰქონდა გავარდნილი ხელთუცთომელი მონადირის სახელი. სწორედ ნადირობისადმი მის ტრფიალსა და თავგადასავლებს მიუძღვნა საინტერესო ნაწარმოები ცნობილმა რუსმა მწერალმა გიორგი მარკოვმა. ტარას ანჩაბაძის შთამომავლები რუდუნებით ინახავდნენ საოჯახო რელიქვიად ქცეულ ფოტოსურათს, რომელზეც ეს ახოვანი ვაჟაკი სანადირო თოფით, გვერდზე დამაგრებულ ფალასკაზე ნამოკონწილდებული მონადირეული მწვერებთა და სრული სანადირო ამუნიციითაა აღბეჭდილი. ეს პორტრეტი ჭეშმარიტი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე დოკუმენტი გახლდათ. სამწუხაროდ, ქართულ-აფხაზური სამარცხვინო ომის დროს (1992-1993) ეს ფოტოსურათი უკვალოდ დაიკარგა.

ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძემ ჯერ სტავროპოლის გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ კი კურსკის სამხედრო სასწავლებლის სრული კურსი. იგი ჯერ რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომში მონაწილეობდა, შემდეგ კი რუსეთ-იაპონიის (1905) ომის დამამთავრებელ ეტაპში. მიღებული ჰქონდა უამრავი სახელმწიფო ჯილდო ომებ-

დიდი ოჯახის უფროსი გახლდათ. მისი მეუღლე მარიამ (მამო) ნიკოლოზის ასული დადიანი-ანჩაბაძისა საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და უნგარო განმანათლებელი იყო. მან ნათელი კვალი დაამჩნია აფხაზეთის კულტურას. ანჩაბაძეების ტრადიციულმა ოჯახმა ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღუზარდა სამშობლოს: ვალერიანი (1886-1921), ვიანორი (1888-1937), გიორგი, ვლადიმერი (ლადი) და ტატიანა (1900-1991). ვალერიანი ანჩაბაძე კადრის სამხედრო მოსამსახურე გახლდათ, რომელიც ჯერ მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდა, შემდეგ კი საქართველოს სამხედრო ძალების ოფიცერი იყო. ვიანორი – პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში და, როგორც ხელმადლიანმა დასტაქარმა, მრავალი დაჭრილი ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და დემობილიზაციაში გასვლისთანავე მშობლიურ აფხაზეთს დაუბრუნდა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახლადადორძინებულ საკურორტო დარგს ჩაუდგა სათავეში, მოგვიანებით კი, წლების განმავლობაში, იყო აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის საქმეთა სახალხო კომის-

არი; ტატიანამ სასოფლო-სამეურნეო განათლება მიიღო, მეცნიერებათა კანდიდატი გახდა და ცოლად გაჰყვა ცნობილ აფხაზ რევოლუციონერს ნიკოლოზ აქირთავას.

ტრავიკული აღმოჩნდა ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძის შვილების, გიორგისა და ვიანორის და მათი ხიდის ნიკოლოზ აქირთავას ბედი – ისინი 1930-იანი წლების რეპრესიებს შეეწირნენ. მოგვიანებით სამივე რეპაბილიტირებული იქნა.

ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძე 76 წლის ასაკში, 1935 წელს გარდაიცვალა სოხუმში. მისი მეუღლე, რომელმაც 88 წელიწადი იცოცხლა, მწუხარე მოწმე შეიქმნა 1937 წლისა და დიდი სამამულო ომის ტრავიკების, რამაც ტრავიკული კვალი დაამჩნია საბჭოთა კავშირში მყოფი მცირე ერების ყოფა-ცხოვრებას. ვიანორის შვილი ზურაბი სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ, ხოლო ზურაბის შვილი ვია ამჟამადაც თბილისში ცხოვრობს.

ანჩაბაძეების ოჯახის თითოეული წევრის მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითოა და ყოველ მათგანს შეიძლება წიგნიც კი მიეძღვნას, რაც უდავო ორიენტირი გახდება მდიდარი აფხაზური ტრადიციების ერთგული მომავალი თაობებისათვის.





რა ენაზე მეტყველებენ იბერები?

მართალია, აკადემიკოსმა საიდუმლო ტექსტში გამოყენებული ასონიმები სწორად ამოიკითხა, მაგრამ ტექსტის ენა და შინაარსი, ერთიანობაში, მანაც დაუდგენელი დარჩა.

ტექსტის ქართული ტრანსლიტერაცია, თანხმოვანი ბგერებით გამოხატული სიტყვები და სამ ადგილას, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი ბგერების აღსანიშნავად გამოყენებული, იბერიული ენისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ბგერა **ჟ** მიგვანიშნებს, რომ წარწერის ენა წმინდა იბერიულია. ამასთან, ტექსტი დაქარაგმებულია, მაგრამ იოლად იზიფერება ე.წ. მეგრული ენით:

ქარაგმა გახსნილი ტექსტი ასეთია:
 [მა] [შო] ნ[ა]. ჰ[ა], ს[ი] უ[ი] რ[ინა].
 ფუ[ნაშო] ტ[ი] ბ[ერ] [თა] [კონო]; ზი[ი].
 ზი[ი] ვ[აით] ხ[ილი], კ[ურ]ი ლა[ა] (ა)
 პ[ი]ტ[ია]ს[ში] ფ[არ]ს[მ]ან[ი]
 [მა] ფ[ა]თ[ა] ლ[ე]ქ[ანო], [მა]ნ[ა]თ[ეთ] ზი[ი].
 ავ[ა] დ[ო] [მა]ნ[ა] [ნა]ს[ი] ვ[ან] [გებ]ი
 სიჰამე.

გ[ან]ქ[ა]ბირ[ე]. არ[ე] ვ[ა]ი-ს[ი] აბ[ა]მე თ[ი]ში,
 ე[ი]ი-ბადი რ[ინა]ში ბ[ა].

თ[ა] [კონო] რ[ინელი] ბ[ა] ს[ი] ზი[ი], ს[ი]ი
 ხ[ამილი] ფ[ურ]ი [ნე]კლ[ე] გ[ანელი] [მა] ფ[ა]
 დი[ე]ქ[ან]; ბ[ერ] [ე]

ზი[ი] [მა]გ[ურ]ო ფ[ურ]ინველიში, რ[ინა-
 შო] ბ[ა]; თა[კონო] რ[ინელი] ბ[ა] ს[ი] ზი[ი]
 ფ[არ]ს[მ]ან[ი] [მა] ფ[ა]თ[ა] ლ[ე]ქ[ანო], პ[ა] [მა]
 ბ[ა] ლ[ე]ქ[ანო], პ[ა] ბ[ა] ლა[ინო]ფერი [ქი]მი-
 ნი; მა

ზი[ი] ფ[ურ]ი [ნე]კლ[ე]შ[ო]რო
 [მა]ლა[ფარო] გ[ა]ფილი მი[თ]რ[ე], ვ[ა]ით
 პ[ა] ქი[მი]ნი

ტი[ბ]ე[უ] ვ[ა]შ[ა]ფერი იჰვ[ა]ს [პ]ექ ზი[ი]
 ბ[ერ] [ე]

[მა]ქირა [მი]ნ შ[ა] [მა]ლ[ამ]არ[ი] დ[ო]
 [მა]ფათ[ა] ე[ფი]ლი იჰვ[ა]ს [მა] ნ[ა]

ტი[ბ]ე[ა] ვ[ა]თ[ა]ტული ვ[არ]ე [მა]ქირა
 [მი]თინი ბ[ო]ში [ნო]თ[ე] ვ[ა]კ[ანია]
 ზ[ანელი].

აქ გამოყენებულია დაქარაგმების ყველა ხერხი, რომლებიც აღწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართული დამწერლობით მცოდნეობა ანუ პალეოგრაფიაში“, რომელიც გამოსცა 1923 წელს, გ.ი. 17 წლით ადრე, ვიდრე აღმოაჩენდა არმაზის ბილინგვას.

ამ ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია:

უზენაეს შემოქმედო, ყველაგანმწოდომო, შენ ჰქმენ ყოფიერება, აღუღება-ამაღლები სათვის ტოვე შვილი თავკაცად; გაწვრთენ,

გაწვრთენი ტანჯვით შობილი, კვერე ჩვილი პიტასში ფარსმანი

მოქნილი მეფედ, მანათებლად გარწოვენი, ატანჯე და მსგავსად დეთისა არ ანებე სიამე;

არ ამღერე, არე ტანჯვა-სიამე მისი, ქმენბაღე სიცოცხლისათვის მემკვიდრე;

თავკაცად ყოფიერი მემკვიდრე შვი განტვირთულ ფრინველს დამსგავსებულ მოქნილ მეფედ: შვილი

გაწრთვენი-გარდაქმენ მსგავსად ფრინველისა სიცოცხლისათვის. მემკვიდრე, თავკაცად ყოფიერი მემკვიდრე შენ გაწრთვენი

ფარსმანი მოქნილ მეფედ, ყველაგანმწოდომ მოქნილ მემკვიდრედ; ყველაგან მწვდომი მემკვიდრე [შურდულით] გაგარდნადი პქმენი, პიროვნება

გარწოვნი [ისეთი] ფრინველით მონაგარდელ აკებული ვინც არი, სიმწრით (ანუ ოფლის ღვრით) ყველაგანმწოდომი პქმენი; სითბოუხსოვარი უზენაესი შემოქმედისთვის ყველაგანმწოდომად გაწრთვენი შვილი.

ვინ ახსოვს უზენაეს შემოქმედს მეორემომარი და მეფედ ყოფილი, პიროვნება წყარო სიცოცხლისა.

სობრძე უსასრულო (ანუ ზეკაცი) არ არის მეორე ვინმე ვაჟი მნათობი, მოგიზგიზე ანთებული.

ამავე სამარხში აღმოჩენილი მეორე სტელა (წარწერა №1) უფრო განიერია და დაწერილია უფრო დიდი მოცულობის თოთხმეტ სტრიქონიანი ტექსტი, მაგრამ

სტელის მარცხენა მხარე მთელ სიმაღლეზე ჩამოჭრილია 15-20 სმ სიგანით და თითქმის მთელი ტექსტი დიაგონალურადაა წაშლილი, ისე რომ დასაწყისის მხოლოდ მცირე ნაწილის ამოკითხვა შეიქნა შესაძლებელი.

აქაც საიდუმლო დამწერლობითა და დაქარაგმული საიდუმლო ენითაა შესრულებული წარწერა და მისი ქართული ტრანსლიტერაცია ასეთია:

მლაქ(?) მპრდღ მლქ რბ ბრპ ზა ფრსმნ მლქ რბ ზა შრ [გს]

ბრპ ზა ზავს რბენან 'ნა შრგს ფატსჰ. მპრდღ [მლქ]

მლ' ვქქან მლ' ['] მრთ პნ ძქქან... ქარაგმა გახსნილი ტექსტი ასეთია:

[მა]ფა) ლ[ექ]ანი [მი]პრდ[ა]ტ[ი], [მა]ფა) ლ[ექ]ანიში) რ[ა] ბ[ა], ბ[ერ] [ექ]ანიში) ზი[ილი] ფ[არ]ს[მ]ან [მა]ფა) ლ[ექ]ანიში) რ[ა] ბ[ა], [მა]ნ[ა]-ნ[ა] [მა] [შ]არ[ა]-[გ] [ა]ს

ბ[ერ] [ექ]ანიში) ზი[ილი], ზი[ილი] ვ[ა]ით) ხ[ილი] რ[ინა]ში) ბ[ა] ვ[ა]ით) ნ[ა] [ქი]მინ [მა]ნ[ა] [მა] [შ]არ[ა] – გ[ა]ს ფიტ[ია]ს[ში] მპრდღ[ა]ტ[ი] [მა]ფა) ლ[ექ]ანი

მალ[მა]არ[ი] ვ[ა]ით) პ[ა] ქი[მი]ნელი, მალ[მა]არ[ი] [მა] მ[ით] რ[ე] [მა] [კონო] პ[ა] ნ[ა] [ე]ი პ[ა]თ) ვ[ა]ით) ი[ე]ი [ნათ]

ქართული თარგმანი: მოქნილი მეფე-მირდატი, მოქნილი მეფის იყო მემკვიდრე, შვილი. ყველაგანმწოდომად გარწოვნილი ფარსმან მეფე მოქნილისა იყო მემკვიდრე, პიროვნება, ყველაგანმწოდომი სიცოცხლის წყარო გზა-ზეგანს

ყველაგანმწოდომად გაწვრთნილი მემკვიდრე, სიცოცხლისათვის ტანჯვით შობილი მემკვიდრე, გზა-ზეგანის პიტასში მირდატი მოქნილ მეფედ.

მეომარი ტანჯვით (ოფლის მღვრელ დატვირთვებზე წვრთნით) ყველაგანმწოდომად ქმნილი მეომარი პიროვნება ვინც იყო თავკაცად, ყველაგანმწოდომი სიცოცხლის წყარო ტანჯვით (ოფლისმღვრელ დატვირთვებზე წვრთნით) იქმნა სიცოცხლის წყაროდ...

ვეფხისტყაოსნის წარწერა საიდუმლო დამწერლობითა და ენით შესრულებულია იმიტომ, რომ ყველა, თვალსაჩინო იბერიულ ძეგლებს დაუნდობლად ანადგურებდნენ, მაგრამ, რის ამოკითხვასაც ვერ ახერხებდნენ იმისი განადგურებაც დაიწყეს და რადგან ამ სტელზე აღარ შეიძებოდა ილუზიის გამომწველი ტექსტის დამატებით დატანა, თვითონ წაშლეს, რომ ბილინგვად წოდებული წარწერა გადაერჩინათ.

აქ ფარსმან I-ის მემკვიდრის-მირდატ II-ის ქება-დიდება იმიტომ არის აღწერილი, რომ ქართველები მის დროსაც ცდილობდნენ გამოყოფოდნენ იბერებს, მაგრამ მისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით შენარჩუნებული იქნა ერთიანობა, რაც მისი მომდევნო მეფის-ქართამ I-ის დროს ვერ მოხერხდა.

რადგანაც იბერიის დაცემისთანავე დაიწყო ყველა იბერიული მონაპოვარის პირისაგან მიწისა ადგვა, საჭირო შეიქმნა საიდუმლო წარწერების შესრულება და, სწორედ, 1940 წელს აღმოჩენილი ძეგლები შესრულებული უნდა იყოს 523 წლის შემდეგ, მაგრამ ილუზიის შესაქმნელად საჭირო იყო გასავლები ენით წარწერის დამატება და ბერძნული ტექსტი დაამატეს, მაგრამ მაინც სახიფათო იყო მისი თვალსაჩინოდ დატოვება და დამარხეს უცხედროდ, სამარხის კედლების ილუზიის შესაქმნელად. ასე სასწაულით გადაურჩა ეს ისტორიული ძეგლი სრულ განადგურებას.

იბერიის დაცემის შემდეგ შეიქმნა ჯერ ლაზიკის, შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფოებებით იბერიული სახელმწიფო, მაგრამ ქართველები მიერ სამეფოს სტატუსის მოპოვების შემდეგ, ისევ დაიწყო მესხიერებაში შემორჩენილი იბერიული კვალის ინტენსიური წაშლა და ის დღემდე არ განელებულა. ქართი მოღვაწენი ბრწყინვალედ იცნობდნენ ბერძნულ-რომაულ წყაროებს იბერებზე, მაგრამ შეგნებულად, როგორც შოთა ძიძიგური აღნიშნავს, გვერდს უვლიდნენ მათ და ყველა საერთო იბერიული მონაპოვარი შესაძლე-

ბლობის ფარგლებში ქართლური ტომობრივი სახელით მონათლეს, ხოლო დანარჩენის სხვა ერისთვის მიკუთვნებას, ან საერთოდ მოსპობას შეუდგნენ. იბერებს სახელი მეგრულით შეუცვალეს და ე.წ. მეგრული ენა, ქართლურის III საუკუნეში ჩასახულ კილოკავად გამოაცხადეს. იბერიის მეფენი ქართლის მეფენი გახდნენ, პეტრე იბერი-პეტრე ქართველად, ლაზთა მონასტერი იერუსალიმში – ქართველთა მონასტრად და იბერიული დამწერლობანი ქართულ დამწერლობებად, მაგრამ უცხოურიდან გადმოღებულად მონათლეს.

ცხადია, ყველაფერი ეს იბერიული კვალის საბოლოოდ წასაშლელად კეთდებოდა, მაგრამ პქონდათ კი ის გააზრებული, იბერიული კვალის წაშლა მოუტანდა თუ არა სიკეთეს ჯერ ქართველად, შემდეგ ქართველად წოდებულ ყოფილ იბერებს?

გამორიცხვულია, პრობლემა სწორად გადაიჭრას მხოლოდ ერთი კუთხით დანახული სურათის მიხედვით გაკეთებული დასკვნის საფუძველზე. აუცილებელია, მრავალმხრივი და გლობალური მასშტაბით ხედავ.

ართუ სახელმწიფოებრივი, არამედ ნებისმიერი პრობლემა ცხელ გულზე და გაბოროტებული გონებით გადაჭრილი, ყოველთვის ტრაგიკულია, მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი და უცვლელი კანონზომიერების საფუძველზე. და რამდენადაც „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოვლენდეს და დამალული, რომ არ გაცხადდეს“, ნათელია რომ იბერიული ღირებულებების და კვალის წაშლა კატასტროფულია ქართველებისათვის, ხოლო ნაყიდი ქართული გვარის მატარებელი სომხების და უიდ-მასონებისათვის კი სანუეკარი ოცნების აღსრულება. მაგრამ ღმერთმა მოვივიდინა ბრძენი და თვალდაუბული მამულიშვილებიც, რომელთაც წყალობა იბერთა მოღვაწის დღემდე არსებობა და ახდა ივანე ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიდაგაზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უძველესი ყოფის, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირჩევიდეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ, ან სავანურ შტოს“-ო (ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ. 20); უკვე ნათელი ეფინება იმ ჭეშმარიტებას, რომ იბერები მეტყველებდნენ იბერიულ (იგივე, ე.წ. მეგრულ) ენაზე და დამწერლობა და მწიგნობრობა ჰქონდათ ქრისტემდე რამდენიმე ათას-წლეულის წინათ, თანხმოვნური მეტყველების დროიდან.

ამ თამამი განაცხადის საფუძველს გვაძლევს შემდეგი არგუმენტები:

პეტრე იბერს, II წლისას ბიზანტიაში მასწავლებლად გააყოფეს იოანე ლაზი (რუფუსი – რუფუსი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (ლაზთა ენა იბერიულია); გუბაზ მეფის მეკლემობის გამო გამართულ საჯარო კრებაზე გამოსული ორატორის – **აიეტის** ისტორიულ სიტყვიდან ცნობა: „გაქრა კოლხა დიდება, ამიერიდან აღარ ვევირსებით იმას, რომ სხვას ვბრძანებლობდეთ, ისიც უნდა ვიკმაროთ ძალიან არ დაგვაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევდომი იყო...“ (ეს ქვეშევდომი იყო ქართველები, რომლებმაც იბერიის დაცემის შემდეგ, სპარსეთის მხარდაჭერით, ძალაუფლება ხელთ იგდეს); ბიბლიური **დაბადება** დაწერილია, სულ მცირე ოთხ ათასი წლეულის წინათ იბერიულ ენაზე;

მარტვილში, აფხაზეთსა და სვანეთში ჰყვებოდა ამოკვეთილია ასონიმები და განსაკუთრებით, ჩვილის თავი წარწერით **ჭხრ**;

1940 წელს მცხეთის რაიონში, ს. არმაზში აღმოჩენილი სამარხის ქვებზე შეს-

რულებული წარწერების საიდუმლო ენა – იბერიულია;

ყველა უძველესი ეთნიკურ-ტომობრივი, თუ რეგიონის სახელგების, ტომონიმებისა და ჰიდრონიმის ეტიმოლოგია იბერიული (ე.წ. მეგრული) ენით ირკვევა;

ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) იბერიული წარმოშობისაა, რაზეც ასანიშნა მოხაზულობანი და სახელდებიანი მეტყველებენ;

იბერიული მოღვაწის ენების ლექსიკის ურთიერთ შესატყვისი ძირისეული ფორმების მნიშვნელობა და ეტიმოლოგია ირკვევა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენით;

ე.წ. მეგრული ენის მიერ დღემდე შენახული უნიკალური მონაცემები, შესწავლილი და წარმოდგენილი მ.დ.ა. ც. ძაძამიების მიერ.

სწორად თანამოაზრენიც მსაყვედურობენ: ყველაფერში მართალი ხარ, მაგრამ ძალზედ მკაცრი და პირდაპირი, საქმისთვის აჯობებდა მეტი დიპლომატიურობა გამოიჩინო და ზოგი რამ შერბილებულად თქვაო.

მართალია, ზომიერება და დიპლომატია დიდი სიბრძნეა, მაგრამ რაც ჭეშმარიტებაა, ყოველ შემთხვევაში, რაც მე ჭეშმარიტებად მიმაჩნია (**„მოვევარეს პირში უმრავლეს, მტერს პირს უკანალ“-ს** პრინციპით), პირდაპირ ყოველგვარი შერბილებისა და გაზვიადების გარეშე უნდა ვთქვა.

როცა ვამცნე გამოცემა შვიდტომული (**„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათ წარმომავლობა“**), ერთმა ენათმეცნიერმა, თითქოს უხერხულად ადვილზე ბზიკს ეკვინოს, წამოხტა და ტირილნარევი ხმით წამოიყვირა: **„მოვალატვა მამანტი ძაძამია“**. შეიძლება, ჩემი მოკრძალებული გამოკვლევებიც ზოგი **„მეცნიერის“** შეგნებაში დალატად ჩანდეს, რადგან, შეიძლება, ე.წ. მეგრული ენის ფენომენის წარმოჩენა, სურათო ქართული ღირებულებების დაჩრდილვად ეჩვენება. იქნებ, მათ თვალსაწიერში, ე.წ. მეგრული ენის ფენომენის დაკნინება და მისი ქართული ენის ახალი წელთაღრიცხვის III საუკ. წარმოშობილ კილოკავად წარმოჩენა, შემდეგ ქართველი ერის ცნობიერებაში ასეთად ჩაკირვა-დამკვიდრება პატრიოტიზმი?

ასეა თუ ისე, სწორედ ამისთვის იბრძვიან პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე და მისი თანამოაზრენი. ამ მიზნით გამოდიან მოხსენებებით უნივერსიტეტებში პროფესორი-მასწავლებლებსა და სტუდენტების წინაშე, აკეთებენ ვრცელ მოხსენებებს საპატრიარქოში, გამოსცემენ სტატიებს და შრომებს (მაგ., ტ. ფუტყარაძემ გამოსცა წიგნი „ქართველები“, სადაც მისი აღნიშნული ნაშრომი დაბეჭდილია სამ ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე, რომელშიც ე.წ. მეგრული და სვანური ენები ქართულის კილოკავადაა გამოყვანილი. და აქ არაჩვეულებრივი არაფერია. ქართველისათვის, რომელმაც ქართულის გარდა, სხვა ე.წ. ქართველური ენები არ იცის, რამდენადაც მჭკმეტყველო, რამდენადაც ერუდირებული არ იყოს იგი, რანაირი სამეცნიერო ტიტულები არ ჰქონდეს მოპოვებული, ქართულია დედა ენა და არ შეიძლება მისთვის სხვა ქართველური ენები უცხო ენა არ იყოს. ამიტომ მეგრული ენის ფენომენზე და მისი ენობრივი მონაცემების უნიკალურობაზე მტკიცებები ასეთ მეცნიერებს, ბუნებრივია, გააღიზიანებს და ამიტომაც იბრძვის ბატონი ტარიელ ფუტყარაძე იმისათვის, რომ ე.წ. მეგრული ენა ქართული ენის დიალექტად წარმოადგინოს. მაგრამ ენის ზედპირული ცოდნა, რომელსაც პატრიარქული მეცნიერები მეცნიერულ ცოდნას უწოდებენ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეცნიერი ამა თუ იმ ენის სრულყოფილ მცოდნედ ჩათვალოს.

კჰჰჰი ფიფი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სოსხუაის დასაქმება

(ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული "ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი...")

სოსხუმის დაცემიდან 17 წელი შესრულდა. გაზეთი "ახალი თაობა" (№227, 25-26 სექტ. 2010 წელი) აქვეყნებს ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსის თამაზ ფანჭულაძის ინტერვიუს იმ ტრაგიკული დღეების შესახებ.

ბატონი თამაზი ღრმად დარწმუნებულია, რომ სოსხუმი "ერთმა მოლაპატე ქართველმა დაგვაკარგინა".

ამ მოლაპატე ქართველის შესახებ ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ვნახოთ, ვინ არის მთავარი "მოლაპატე" ქართველი. თამაზ ფანჭულაძე, როგორც ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსი, ესწრება შევარდნაძისა და მისი გენერლების თათბირებს, ამიტომ კარგად ერკვევა შექმნილ ვითარებაში.

უღისციკლინობაზე, თვითნებურად პოზიციების მიტოვებაზე, დემორალიზაციაზე, მორთოდრობაზე მრავალი ომის მონაწილე და სამხედრო ექსპერტი ლაპარაკობს. ბატონ თამაზ ფანჭულაძის ვრცელი ინტერვიუ ამხელს პოლიტიკურ თუ სამხედრო ხელმძღვანელების უნიათობას, უსუსურობას, არაპროფესიონალიზმს, დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც მხოლოდ შეიძლება შეფასდეს როგორც დღაღატი.

ბატონ ფანჭულაძის მისი ეს და სხვა ინტერვიუები გვარწმუნებს იმაში, რომ აფხაზეთის ომი იღვაწივით განჭირული იყო წაგებისათვის.

"დიდი პოლიტიკოსი" და მთავარსარდალი შევარდნაძე, მისი მორჩილი ახალგაზრდები გენერლები თავიანთი შეცდომებით აქარწყლებდნენ ქართველი მეთომრების თავგანწირული ბრძოლით მოპოვებულ წარმატებებს.

ისტორიას არ ახსოვს მამაც ჯარისკაცებს ომი მოეგოთ თუ მათ ხელმძღვანელებს კარიერისტი პოლიტიკოსები, ავანტიურისტები, თვითმარქვია გენერლები, რომლებიც ახლო წარსულში მშვიდობიანად შრომობდნენ სავაჭრო ორგანიზაციებში და არ ჰქონდათ არავითარი სამხედრო განათლება.

ამგვარი "მთავარბანაი" არავითარ შემთხვევაში არ აიღებს თავისთავზე წაგებული ომის პასუხისმგებლობას, არ გადადება და, მით უმეტეს, პარაკირს არ გაიკეთებს. უნდა მოძებნონ განტყვევის ვაცი.

მოუუსმინოთ ბატონ თამაზ ფანჭულაძეს: "ზუგდიდში მიტინგი მიტინგზე იმართებოდა, სადაც ჩვენ გვლანძვოდნენ, მოლაპატეებს გვიწოდებდნენ იმ ხალხს, რომლებიც შიშველი ხელებით ვიცავდით სოსხუმს კბილებამდე შეიარაღებული მტრისაგან". აქვე ბატონი თამაზ ფანჭულაძე გულახდილად ლაპარაკობს "სარდალ" შევარდნაძის "კიდევ ერთ დიდ შეცდომაზე".

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალის სხვა შეცდომებთან ერთად "კიდევ ერთი დიდი შეცდომა" სრულიად საკმარისია ომის წაგებისათვის და გასაკვირი არ უნდა იყოს ხალხის რეაქცია. ხალხი სამართლიანად მოლაპატეად მიიხსენებს მთავარსარდალობას და არა რიგით ჯარისკაცებს და უმცროს ოფიცრობას.

საკითხავია, რატომ იბრძოდნენ შიშველი ხელებით? განა "დიდი პოლიტიკოსსა" და "დიდ სტრატეგს" შევარდნაძეს არ შეეძლო ჯარის შეიარაღება?

გამოდის, რომ ეღუარდ შევარდნაძე საზარბაზნე ხორცად იყენებდა პატროტ ქართველ მეთომრებს.

როცა ეღუარდ შევარდნაძე "მკერდით იცავდა" სოსხუმს, ამ დროს საქართველოში ჩამოღის ზვიად გამსახურდია. "ოჩამჩირეში ჩავიდა. ის იქ მივიდა შტაბში, სადაც შეხვდა სამხედროებს. განუცხადა, მე ვარ პრეზიდენტი, უბაღდესი მთავარსარდალი და მე უნდა დამემორჩილოთ. მან სამხედროებს ჩვენს დასახმა-

რებლად წამოსვლა (სოსხუმში - თ.კ) აუკრძალა".

აქ და სხვაგანაც თამაზ ფანჭულაძე უკვე აშკარად ტენდენციურია.

საქვეყნოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ შტაბში მყოფ სამხედროებს ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა დაევიწყებინათ პოლიტიკური უთანხმოებანი, ძველი მტრობა და წყენა, გაერთიანებული ძალებით დაეცვათ სამშობლო. იგი, როგორც საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი მთავარსარდალის პასუხისმგებლობას იღებდა, იღებდა თუნდაც იმის გამო, რომ აშკარად გამოიკვთა შევარდნაძის მოლაპატეური ქმედებები, უკვე ნათელი გახდა, რომ შევარდნაძე აფხაზეთს რუსეთს ჩააბარებდა საქართველოს პრეზიდენტის პოსტის სანაცვლოდ!

ღიად ვეკითხები ბატონ თამაზ ფანჭულაძეს: რატომ არ მიდიოდნენ სოსხუმში ოჩამჩირეში უსაქმურად მდგარი ქართული სამხედრო შენაერთები? რატომ არ გასცა ამის შესახებ ბრძანება ეღუარდ შევარდნაძემ? რა, ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვლას ელოდნენ, რათა მისი ბრძანებით სოსხუმისკენ არ წასულიყვნენ?

თუნდაც დაეუშვათ, რომ ზვიად გამსახურდიამ ასეთი ბრძანება გასცა და "შტაბში მყოფი სამხედროები" ამ ბრძანებას ასრულებდნენ. თუ ასე მოხდა, მაშინ მოლაპატე სამხედროები რატომ არ გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს? რატომ არ აღიძრა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე თუნდაც ომის დამთავრების შემდეგ?

საქვეყნოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ წაგებული ომის შემდეგ ეღუარდ შევარდნაძემ ქართველ სამხედროებს ჩინ-მედლები გულუხვად დაურიგა.

ეს სამხედროები ასრულებდნენ არა საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრძანებას, არამედ შევარდნაძის დირექტივებს, და ამიტომ არც არავინ დაუსჯიათ შევარდნაძის მიერ დამსობილი, კანონგარეშე პრეზიდენტ გამსახურდიას ბრძანების "შესრულების" გამო.

ბატონი თამაზ ფანჭულაძე ცდილობს დაგვარწმუნოს იმაში, რომ, თურმე, მთავარი მოლაპატე ზვიად გამსახურდია ყოფილა. მას რომ არ აეკრძალა ოჩამჩირეში დაბანაკებული სამხედროებისათვის სოსხუმში წასვლა, მაშინ სოსხუმი არ დაეცემა!

ჟურნალისტი, ქალბატონი თეა მარხვაძე, რომელმაც თამაზ ფანჭულაძეს აღნიშნული ინტერვიუ ჩამოართვა, სათაურად სენსაციურ ფრაზას იყენებს: "რა უბრძანა გამსახურდიამ ოჩამჩირის შტაბში მყოფ სამხედროებს".

ქალბატონი თეა ნებსით თუ უნებლიე სინამდვილის ფანჭულადობისეულ ინტერპრეტაციას ჭეშმარიტებად მიიხსენებს და ამიტომაც გამოიყენა სათაურად ეს სიტყვები. მოკრძალებით შევახსენებ ჩვენს ახალგაზრდა ჟურნალისტებს: "ვისაც არ სურს ჭეშმარიტების მოწაფე იყოს, ის შეცდომილების მასწავლებელი ხდება" (წმ. ლეონ დიდი).

ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსი სხვა ქართველი მოლაპატის შესახებაც გვაწუქებს, რომლის გვარი მან საერთოდ არ იცის.

სოსხუმის დაცვის მონაწილე ბატონი თამაზ ფანჭულაძე იხსენებს: "პოზიციებიდან ვიღაცის ბრძანებით მთელი ბატალიონები იხსნებოდნენ" და უთავბოლოდ უკან იხევდნენ. როცა ეკითხებოდნენ რის საფუძველზე დატოვეთ პოზიციები, ამბობდნენ: გენერალ გენო ადამიას ბრძანება მივიფეთ. "როგორც ჩანს, ვიღაცას მისი ხმა და ინტონაცია ჰქონდა დამუშავებული. ის აჯდებოდა ჩვენს რაციას. უკავშირდებოდა პოზიციებზე მდგომ ხალხს და იქაურობის დატოვების ბრძანებას აძლედა". ამის გამო "ყველა გადაარეული ვიყავით. გადარეული იყო შევარდნაძეც!"

ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

თუ ასე იოლად შეიძლება ომის დროს სამხედრო შენაერთების პოზიციებიდან

მოსხნა, მაშინ რატომღა ითხოვდნენ იარაღს და დამხმარე ძალებს? ვერმანხისა და წითელი არმიის სატანკო დივიზიებიც კი ვერ უშველიდათ! მიიღებდნენ გულგრიანის ან უსუოვის "დამუშავებული ხმითა და ინტონაციით" ბრძანებას და სოსხუმიც დაეცემოდა!

როგორც იქნა ყველას, და მათ შორის ეღუარდ შევარდნაძეს, "გადარევის" შეტევამ გაუარათ და ცივი გონებით გაშიფრეს ერთი სამხედრო საიღუმლო, რაც თურმე სოსხუმის დაცემის მთავარი მიზეზი ყოფილა!

"მასსოვლი, გენო ადამიასთან ვიყავით შტაბში. მისი ფანჯრებიდან მოჩანდა ფუნქიკული. ფუნქიკულით მიმართულებით რუსები და აფხაზები საშინელ საარტილერიო იერიშს ახორციელებდნენ. ბატონი ჯაბა ფანჯრიდან უყურებდა ამ სურათს".

"საშინელი საარტილერიო იერიშის" მიუხედავად ჯაბას ეჭვი ეპარება, გრძობს, რომ ფუნქიკული არაფერ იცავს და ამბობს: "იცოდეთ, ფუნქიკული თუ დაეკარგეთ, ჩათვალეთ, რომ სოსხუმი დაეკარგულია".

გენერალმა გენო ადამიამ შტაბში გამოიხაზა ფუნქიკულის დამცველი მესამე ბატალიონის უფროსი. ჯაბამ კი ფუნქიკულორზე სასწრაფოდ აფრინა მხედრონელები გიგა გელაშვილის მეთაურობით. უბრძანა, თუ ფუნქიკულის არაფერ იცავს, მაშინ "ჩვენი ბიჭები" (მხედრონელები) ჩაეყენებიათ, თავად კი შტაბში დაბრუნებულიყო. მესამე ბატალიონი პოზიციებზე არ აღმოჩნდა. გელაშვილმა მხედრონელები იქ დატოვა, თავად კი შტაბში დაბრუნდა. ამასობაში მესამე ბატალიონის უფროსიც შტაბში გამოცხადდა. "ჰეიონეს, იცავთ თუ არა ფუნქიკულორსო. თქვა, რა თქმა უნდა, ჩემი ხალხი იქა დგასო. გიგამ ვერ მოითმინა და უთხრა - რატომ იტყუები, ახლა იქიდან მოვდივარ, არაფერ იყო და ჩემი ხალხი ჩავყენეთ" (მკითხველს შევახსენებ, რომ ეს "დიმილისმომგვრელი" სცენა მიმდინარეობს გაგანია ომის დროს შეიარაღებული ძალების სამხედრო შტაბში და არა მოჟვეარულთა თეატრის სცენაზე). მესამე ბატალიონის უფროსი კი დედას იფიცვება, ჩემი ბატალიონი ფუნქიკულორზე არისო. "გიგა გადაიარა, ამბობდა, იქ არავინ იყო".

გინდაც, გიგა გელაშვილი უფრო მომთმენი რომ ყოფილიყო, ხმა არ უნდა ამოეღო, არაფერი არ უნდა ეთქვა?

ღმერთო, შემინდვ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ჩვენი ჯარის უბრძანებელი მიმდინარე ამგვარი მძაფრი შეხლა-შემოხლა ლათინურამერიკული მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმის სიუჟეტად უფრო გა მოდგება!

მიუხედავად ამისა, ეს უფროსი კვლავ ფუნქიკულის დასაცავად გაგზავნეს. დახმარებაც შესთავაზეს, მაგრამ ბატონ ჯაბას თავიანთი უარი უთხრა - "საკუთარი ძალებით შემიძლია ფუნქიკულის დაცვა".

მეორე დღეს ფუნქიკული დაიკარგა. მას მესამე ბატალიონი არ იცავდა და ეს ბატალიონი სად იმყოფება, დღესაც არავინ იცის...

ბატალიონის უფროსი კი კვლავ შტაბშია, სადაც მასთან ერთად "მთავარსარდალი" ეღუარდ შევარდნაძე, გენერალი გენო ადამია და ჯაბა იოსელიანი იმყოფებოდნენ.

კორესპონდენტის შეკითხვაზე "რატომ არ გადასცეს ეს მოლაპატე ოფიცერი სამხედრო ტრიბუნალს", ბატონი თამაზი პასუხობს: "მაშინ ისეთი ქაოსი იყო, ამისთვის არავის ეცადა. ეგ კი არა, ისევე მაგ ოფიცერს დაავადეს ფუნქიკულის ადგა".

როგორც ჩანს, ჩვენი შეიარაღებული ძალების შტაბში მართლაც ისეთი ქაოსი სუფევდა, რომ ძალდი პატრონს ვერ იცნობდა!

მიუხედავად ასეთი ქაოსისა, მთავარსარდალი ეღუარდ შევარდნაძე და მხედრონელების ბელადი ჯაბა იოსელიანი მაინც მოწოდების სიმადლეზე დგანან. თურმე ისინი სასტიკი წინააღმდეგენი ყოფილან ამ ეჭვმიტანილის ფუნქიკულორზე

გაგზავნის, მაგრამ ვერაფერსაც ვერ გახდენ!

წარმოვიდგინოთ, დიდად პატივცემული მკითხველო, თვით "დიდი პოლიტიკოსი", "დიდი სტრატეგი", პუტინისტების ლიდერი ეღუარდ შევარდნაძე და მხედრონის მრისხანე ბელადი ჯაბა იოსელიანი ვერაფერს გახდენ ერთი გენერლის გენო ადამიას ახირების წინააღმდეგ!

ყველაზე საოცარი კიდევ ის არის, რომ ლევენდარული შპიონის თუ მოლაპატე-დივერსანტის, მესამე ბატალიონის უფროსის გვარი დღემდე არავინ იცის, იმ ოფიცრის გვარი, რომელმაც ფუნქიკულორი, ანუ აფხაზეთი მოწინააღმდეგეს რომ ჩააბარა! არც თამაზ ფანჭულაძემ იცის და არც სხვამ, თვით უშიშროების მაშინდელი მინისტრის ირაკლი ბათიაშვილის ჩათვლით!

ჩვენი მესამე ბატალიონი კი "ფორინავი ჰოლანდიელივით", უფრო სწორად, ცნობილი რომელიღაც დიკარგული ლეგიონივით ყოველი ჩვენთაგანის თვალსაწიერადან შეუმჩნევლად გაქრა.

თითო ოროლა თვითმიხედველს თუ დაეუფრებთ, სოსხუმის ფუნქიკულორზე, შუაადამიას კოცონი აინთება, მესამე ბატალიონი გამოჩნდება, ცოტა ხანს გულხელდაკრეფილები მღუმარედ დგანან, საიდანაც მოსული ჯანდი გადაუვლით და ჯანდათად ერთად ქრებიან...

მართალია, ამ მოლაპატის გვარი დღემდე ვერ გაუგიათ, მაგრამ სამაგიეროდ ის მაინც დაუდგენიათ, რომ იგი თურმე ზვიად გამსახურდიას მომხრე ყოფილა. "გამსახურდიას მომხრეებს მითითება ჰქონდათ მიცემული, რომ ჩვენთვის პრობლემები შეექმნათ" - ბრძანებს ბატონი თამაზი.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამამხობლების, სამეგრელოს არაერთგზის დამყენადგებულთა პათოსი არა და არ ცხრება! კვლავ და კვლავ იმეორებენ ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებებს.

ის პუტინისტი ოფიცრები და მხედრონელები თავიკაცები, რომლებმაც ახალგაზრდა ჯარისკაცებს სალაშქრო სიმღერად უქციეს უკვდავი ლექსის გაუკულმართებული ვარიანტი, ვერასოდეს მიხვდებიან იმას, რომ ნებაყოფლობით იქცნენ იმ ძალების ბიორბობტებად, რომელთაც განზრახული აქვთ ეროვნული ხელისუფლება დაამხონ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში!
ქართლ-კახეთი, იმერეთი, ბურია და რაჭა, ყველა ჩემი საგზოლოა, სამამბრელს ბარდა!

ვიდრე ამგვარი შერყენილი ცნობიერება იარსებებს საქართველოში, ყველაზე თანამედროვე იარაღი კბილებამდე შეიარაღებული ჯარით ვერაფერს გახდება თავისზე ბევრად სუსტი, მაგრამ ეროვნული იდეით შედუღებული მოწინააღმდეგის წინაშე.

მსგავს მოგონებებს თუ ინტერვიუებს, რომლებსაც ქართული პრესა აქვეყნებს, უცხო ქვეყნების დაზვერვის სამსახურები ყურადღებით სწავლობენ, აანალიზებენ, სათანადო დასკვნებს აკეთებენ...

თუნდაც ქართული შეიარაღებული ძალების შტაბში მესამე ბატალიონის უფროსთან დაკავშირებული ეპიზოდის გაცნობისას, კონკრეტულად რას იტყვის ისრაელის, აშშ-ის, ირანის, თურქეთის... დაზვერვა, არ ვიცი, სომხები კი, დანამდილებით ვიცი, მხრებს აიჩქნავენ, იქედნურად ჩაიქირქილებენ და სიცლით იტყვიან: "გიჟგვაცუა ტო!"

ზოგადი დასკვნა კი ასეთი იქნება: ქართველი სამხედროების ნიჭი, ორგანიზებულიობა, დისციპლინა... თურმე ზღაპრები ყოფილა!

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ღრმა შეუპოვებულობა იმითი ხსოვნისა, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ არა მხოლოდ აფხაზეთის ომში, არამედ საერთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში.

იბერიის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

(გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს ანტონ შონიას წიგნიდან)

ქართველი მეცნიერების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები იყვნენ, ხოლო იბერები (ქართლები) და კოლხები (მეგრელები) – სხვადასხვა ეთნოსის ხალხები, მაგრამ ჩემი დრმა რწმენით, კოლხეთის სამეფოს მცნებაში მოიაზრებოდა მოცილი საქართველო, რომელსაც შემდგომში გამოეყო იბერიის (ქართლის) სამეფო, ხოლო კოლხები (მეგრელები) და იბერები (ქართლები) ერთი ხალხის განაყოფიერება არიან.

ყველგა ავხსნა, რამ მომცა ასეთი ვარაუდის საფუძველი:

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ბერძნებმა ეგრისის სამეფოს, რომელიც, თითქოს, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, მცირე აზიის შავი ზღვისპირეთიდან დაწყებული, ლახიკანიკოსიამდე (დღ. ტუაფსე) და აღმოსავლეთ ლიხის ქედამდე, დაარქვეს კოლხეთის სამეფო, ხოლო მის მკვიდრ მოსახლეობას, ეგრებს (მეგრელებს) – კოლხები. შესაბამისად, კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ ითვლებოდა ეგრისის სამეფო, ხოლო კოლხებისა – ეგრები (მეგრელები), მაგრამ იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნას და იბერების (ქართლების) წარმომავლობაზე მეცნიერებს ერთმნიშვნელოვანი აზრი არა აქვთ.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, თითქოს იბერიის (ქართლის) სამეფო ე.წ. “დაიანის” თუ “დაიანის” სამეფოს თუ ტომთა კავშირის მემკვიდრეა და ე.წ. “დაიანები” თუ “დაიანები” იბერების წინაპრები არიან; ხოლო ნაწილი თვლის, რომ იბერიის (ქართლის) სამეფო ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტომის ურთიერთბრძოლის შედეგად, რაც ამკვიდრებს შეხედულებას, თითქოს იბერებს (ქართლებს) აღრეული წარმომავლობა აქვთ.

იბერიის (ქართლის) სამეფოს მხნევა ე.წ. “დაიანის” თუ “დაიანის” სამეფოს თუ ტომთა კავშირის მემკვიდრედ, ვფიქრობ, თითქმის გამორიცხვულია, და აი, რატომ: ჯერ ერთი, დაუდგენელია მისი რაობა, ის სამეფო იყო, ტომთა კავშირი თუ სახელმწიფოთა წარმონაქმნი; მეორეც, ეს სამეფო ძე.წ.ად. IX საუკუნიდან უკვე არ არსებობს და ნაკლებ სარწმუნოა, მის ბაზაზე წარმოქმნილიყო იბერიის (ქართლის) სამეფო 5-6 საუკუნის შემდეგ, ძე.წ.ად. IV საუკუნეში; მესამეც, ეს რომ ასე მომხდარიყო, ამ სამეფოს ასევე “დაიანი” ან “დაიანი” უნდა დარქმულიყო და არა იბერია, მით უმეტეს არ არსებობს წყარო, რომელიც ევროპის იბერებსა და ე.წ. “დაიანებს” თუ “დაიანებს” შორის რაიმე კავშირზე მოგვამცნებდეს.

სათანადოდ, იბერების (ქართლების) “დაიანებიდან” თუ “დაიანებიდან” წარმომავლობაც თითქმის გამორიცხვულია – დაუდგენელია, ვინ იყვნენ ისინი (უფრო ფიქრობენ, რომ ისინი ხუროტები), ხოლო ორი-სამი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც თითქოს ე.წ. “დაიანებიდან” შემოვიდა ქართულში, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ნამდვილად არ იძლევა ამ ვარაუდის საფუძველს.

რაც შეეხება სხვადასხვა ტომების ურთიერთბრძოლის შედეგად იბერიის სამეფოს წარმოქმნის ვერსიას, ესეც ვარაუდის დონეზეა, ვინაიდან ასეთი რამ ნებისმიერ ერზე შეიძლება ითქვას. ყველა ერთ რომელიმე ტომების გაერთიანებით არის წარმოშობილი, მაგრამ იბერიის (ქართლის) ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში. არც ერთი ისეთი ტომი არ სახელდება, რომ მას მიეწეროს იბერების (ქართლების) წინაპრობა.

ბევრი წერილ-წერილი ტომთა დასახლებული კოლხეთის ტერიტორიაზე, მცირე აზიასა და დასავლეთ საქართველოში, მაგრამ არც მათში ურევია იბერების ტომი, რომ ვივარაუდოთ, თითქოს მათი გავლენით დაერქვა იბერიის სამეფოს სახელი.

ყოველ შემთხვევაში, ეს ვარაუდები, ზოგადდროული თვალსაზრისით, დიდად სასურველი არაა, მაშინ, როდესაც გვაქვს

მეცნიერულად ღირებული ისტორიული წყაროები, რომლებიც საფუძველს იძლევიან რეალურად ვიფიქროთ, რომ ცნება “კოლხეთში” მოიაზრებოდა არა მარტო დასავლეთ საქართველო, არამედ აღმოსავლეთ საქართველოც; მეტიც, ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ამ ტერიტორიის მოსახლეობაში საერთო ეთნოსის დომინანტი იყო. პეროლოტე წერს, რომ “...მეწამულ ზღვასა და ფაზისს შორის ცხოვრობდნენ: სპარსები, მიდიელები, სასპერები და კოლხები” (პეროლოტე, ისტორია, თარგმანი ს. ყაუხჩიშვილის, თბ. 1975. გვ. 27). თუ გავითვალისწინებთ, რომ დადგენილია სპარსების, მიდიელებისა და სასპერების ადგილსამყოფელი და ისინი კავკასიაში არ ცხოვრობდნენ, მაშინ აშკარაა, რომ პეროლოტე ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხურ სივრცედ მიიხსენებს. მეტიც, თითქმის გამორიცხვულია პეროლოტეს კოლხეთის ცნებაში მხოლოდ დასავლეთ საქართველო ეგულისხმება, ხოლო გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია, ლიხის ქედიდან კასპიის ზღვამდე, უფროაღებოდ დარჩნოდა და არ მიეთითებინა, რომელი ქვეყანა არსებობდა იქ ან ვინ სახლობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰეროდოტის სომხეთი და სომხები საქართველო ნახსენებია არა მხოლოდ, რაც მიტყვევებს იმაზე, რომ იმ ეპოქაში კავკასიის ქვეყნების შესახებ არ არსებობს. მით უმეტეს, ამ წყაროს მნიშვნელობას ზრდის ის, რომ პეროლოტეს კომპეტენტურობა და ობიექტურობა საყოველთაოდ ცნობილია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ქართველი მეცნიერები სათანადოდ არ აფასებენ ამ ცნობის მნიშვნელობას კოლხეთის სამეფოს ტერიტორიის დადგენისას.

ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობა სრულ უფლებას იძლევა, რომ ცნება “კოლხეთში” მოიაზრებოდა მთელი სამხრეთ კავკასია, მით უმეტეს, ვფიქრობ, ამ მოსაზრების გამოსარიცხად ვერაფერ ვერ დაასახელებს უფრო ღირსეულ წყაროს. სხვათა შორის, არც ისაა დადგენილი, შეიძლება თუ არა სამხრეთ საქართველო კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, თუმცა ამის გასარკვევად მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო არსებობს – ბერძენი ლოგოგრაფოსი პეტროს მელეტელი (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკ.) წერს, რომ მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა და მესხები კოლხები იყვნენ. ამ ცნობას ანგარიშგასაწვეს ხდის ის, რომ დღესაც მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მრავალ მეგრულ ტოპონიმს ვხვდებით.

მართალია, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში სხვადასხვა წერილ-წერილ ტომებს ასახელებენ, მაგრამ, ეტყობა, პეტროს მელეტელის დროს ეს ტერიტორია მესხეთად იწოდებოდა და იქ მოსახლე წერილ-წერილი ტომების საერთო სახელი მესხი იყო.

ქართველი მეცნიერები ერთ-ერთ ვერსიას იმას აყენებენ, თითქოს მესხებმა ჩაუვარეს საფუძველი იბერიის სამეფოს და იბერების წინაპრები მესხები არიან. ეს რამდენად სარწმუნოა, სხვა საკითხია, მაგრამ თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ პეტროს მელეტელის ცნობას, რომ მესხები კოლხები არიან, მაშინ დასაშვებია რეალობად მივიჩნიოთ აღმოსავლეთ-დასავლეთ ქართველებში საერთო ეთნოსის არსებობა.

აკადემიკოსი რისმაგ გორდუზიანი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ მთელი სამხრეთ კავკასია კასპიის ზღვამდე, თავის ნაშრომში “ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემები” (თბ. 1993) იგი წერს, რომ კასპიისპირეთში დღესაც ვხვდებით კოლხეთის მეფე აიეტთან

დაკავშირებულ საკულტო სახელებს, ე.წ. “აიეტოზებს”. იქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ერის ერთიანობის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერის ისტორიულ მეხსიერებას, ერის ერთიანობის რწმენა კი ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა კოლხეთის დიდი სამეფოდან, რაც, მისი აზრით, იძლევა საფუძველს ქართული ეთნოსის შექმნაში უპირატესობა კოლხებს მიეცეს.

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, გაცილებით მეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ტერიტორია ლიხის ქედიდან კასპიის ზღვამდე შედიოდა კოლხურ სივრცეში, ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში მცირე აზიაში დასახლებული ქვეყნების შემადგენლობაში, ეს იქნებოდა ურარტუ, დაიანი (დაიუხი), მიდია, სასპერია თუ სხვა; მით უმეტეს, არ არის რაიმე წყარო, რომელიც ამაზე მიგვიანიშნებდეს და არც ისეთი წყაროა ცნობილი, რომელიც გვამცნობდეს, თუ რომელი ტომები ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე. ბერძნულ წყაროებში მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ჩნდება ცნებები იბერიის სამეფოსა და იბერებს. დაახლოებით ამ ეპოქაში ჩნდება ცნობები კავკასიის ალბანეთზე და ალბანებზე; სამწუხაროდ, ალბანეთსა და ალბანებს უაღრესად მწირი ცნობებია. დადგენილია, რომ ალბანეთის სამეფოს ეჭირა ტერიტორია იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრიდან კასპიის ზღვამდე. ალბანეთი რამდენიმე რეგიონს აერთიანებდა, მათ შორის მისი დასავლეთ პროვინცია, პერეთი, უშუალოდ იბერიის ესაზღვრებოდა. ალბანეთში სხვადასხვა ტომი შედიოდა: სუჯები, გულები, პერები და სხვები. თუმცა დადგენილი არ არის ისინი ალბანურ ენაზე მეტყველებდნენ, ალბანურ დიალექტზე, თუ მისგან განსხვავებულ ენაზე. ვფიქრობ, აქაც ისეთივე სიტუაცია იყო, როგორც საქართველოში. ჩამოთვლილი ტომები ალბანები იყვნენ და ამ სახელით იწოდებოდნენ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ ალბანეთის სხვადასხვა კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ, მათი სახელმწიფო ენა, ალბათ ალბანური იყო და შესაძლებელია, ზოგიერთი ტომის სამეტყველო ენა ყოფილიყო ალბანური ენის ესა თუ ის დიალექტი. ისევე, როგორც საქართველოში, IV საუკუნიდან ალბანეთში სახელმწიფო რელიგიად აღიარებული იქნა ქრისტიანობა. ალბანეთი ხშირად იყო სასანიდური ირანის გავლენის სფეროში, სპარსებმა VI საუკუნეში ალბანეთის მეფობა გააუქმეს, ხოლო VII საუკუნეში ალბანეთი არაბებმა დაიპყრეს. სწორედ ამ ეპოქიდან დაიწყო ალბანეთის გამაჰმადიანება. X-XI საუკუნეებში ალბანეთის ტერიტორია ძირითადი ნაწილი თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, მათ მოახდინეს ალბანების ასიმილირება; შესაბამისად, ალბანელებმა მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანული ეთნოსის ჩამოყალიბებაში.

ალბანეთის დასავლეთი ნაწილი, პერეთი, ქართულ სფეროში მოექცა, ხოლო მისი სამხრეთი ნაწილი – სომხეთის საზღვრებში. იქ მეხოვრები ალბანების ასიმილირება მოხდა ქართველებისა და სომხების მიერ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქართლურ და სომხურ ეთნოსში ალბანური გენიც ურევია.

ზუსტად დადგენილი არ არის, პერეთი როდინდ მოექცა ქართულ სივრცეში. ნაწილი მეცნიერებისა ვარაუდობს, რომ პერეთი იბერიის სამეფოს შემოუერთდა ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ნაწილი ფიქრობს, რომ ეს მოხდა არაბების მიერ ალბანეთის დაპყრობის ეპოქაში (VII საუკ.), ხოლო ცნობილ მეცნიერს, ბატონ ნოდარ ასათიანს სხვა მოსაზრება აქვს.

“საქართველოს ისტორიაში” (თბ. 1999), ის წერს, რომ ირანის მიმდებარე ტომები და ალბანეთის აჯანყებული მეფის ვანგს წინააღმდეგ (459-463 წლები), თითქოს ირანის მეფეს ვახტანგ გორგასალის მეშვეობით დაუმარცხებია ალბანელები და გაუქმებია ალბანეთის ხელისუფლება (463 წ.). ამით უსარგებლია იბერიის (ქართლის) მეფეს და უშუალოდ შემოუერთებია

პერეთი (დასავლეთ ალბანეთი). ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო, რომ ვახტანგ გორგასალმა პერეთი მიიღო შაჰის სამსახურის საფასურად.

ჩემთვის უცნობია, რა წყაროებს ეყრდნობა ბატონი ნოდარი, მაგრამ თუ უაღრესად სარწმუნო მასალები არ ჰქონდა, ამისი თქმა, ვფიქრობ, გაუმართლებელია, ვინაიდან ეს ერთგვარად ჩრდილს აყენებს ვახტანგ გორგასალის პიროვნებას.

როგორც ქართული წყაროები და ქართველი მეცნიერები გვარწმუნებენ, ვახტანგ გორგასალი იყო უაღრესად მორწმუნე, რომელმაც დიდი ღვაწლი დახლო ქრისტიანობას. მას მიეწერება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება და მრავალი ქრისტიანული ძეგლის მშენებლობა. მით უფრო მოულოდნელია, რომ ის შეეკრა მაჰმადიანურ სპარსეთის ერთმორწმუნე მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენთაგანდ მიძიმე მდგომარეობაში იყო და ხშირად იბერიის სამეფოსთან ერთად ეწინააღმდეგებოდა სპარსეთს, ბიზანტიას თუ სხვას.

ეს ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ის სპარსეთის ორიენტიაციის მეფე ყოფილიყო. მით უმეტეს, ვახტანგ გორგასალი იბერიის (ქართლის) მეფის მირიანის შთამომავალია და დედაც სპარსი ჰყავდა. შესაძლებელია, მისი სპარსული ორიენტიაცია ყოფილიყო მიზეზი იმ კონფლიქტური სიტუაციისა, როდესაც კათალიკოსმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. ასეა თუ ისე, ვახტანგ გორგასალი იმდენად დიდი მეფეა და იმდენად პოპულარულია ხალხში, რომ ნებისმიერი ქართველი მეცნიერი მოვალეა ძალიან ფრთხილად იყოს, როდესაც ასეთ საეჭვო მოსაზრებას გვთავაზობს.

როდის მოექცა ალბანეთის დასავლეთ ნაწილი, პერეთი ქართულ სივრცეში და რამ განაპირობა ეს მოვლენა, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს რეალურად მოხდა და პერეთმა შესამჩნევი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. პერეთის სამთავრო, შემდგომში სამეფო, დროთა განმავლობაში შეერწყა კახეთის სამთავროს და XIII-XIV საუკუნეებიდან აღარ იხსენიება. ისიც დაუდგენელია, თუ რამ განაპირობა, რომ კახეთ-პერეთის შერწყმის შემდეგ ახალ სამეფოს კახეთი დაერქვა და არა პერეთი, მაშინ როდესაც, კახეთი ტერიტორიულად და, ალბათ, მოსახლეობითაც 4-5-ჯერ ნაკლები იყო პერეთზე და პერებზე. დღევანდელი კახეთის ტერიტორია ძირითადად ყოფილი პერეთის ტერიტორიაა. საერთოდ, პერეთთან და პერებთან დაკავშირებული გარკვეული გაუგებრობა შეიძლება – მროველმა თავის ლექსებში პეროსი კავკასიის ხალხთა ერთგულად წარმოგვიდგინა, ეტყობა “ქართლის ცხოვრების” ეპოქაში (XI საუკ.) ალბანეთი უკვე აღარ არსებობდა და პერეთი იხსენიებოდა. ეს ლოგიკურია, ვინაიდან, როგორც დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, ეთნონი მროველმა კავკასიის ხალხების ეთნარქებად დაადგინა მის დროს კავკასიაში რეალურად არსებული ხალხების წინაპრები.

შესაძლებელია, მროველისათვის ცნობილი არ ყოფილიყო ალბანელები და არც ის, რომ კავკასიის ერთ-ერთი ქვეყანა იყო ალბანეთი და არა პერეთი, მისი ძირითადი მოსახლეები კი იყვნენ ალბანელები და არა პერები.



ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორის სული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

ქვემოთხსენებულ დროს ხალხობებს სელის ჩაქვანი ეცვათ, პატივები ჰქონდათ და თავზე ჩაფხური ეხურათ, წელზე ხანჯალი ერტყათ ხოლმე. შუბები სიგრძით 15-წერტიანი ეჭირათ ხელში. მაკრონებს დაწნული ხის ფარები და შუბები ჰქონდათ, პერანგს ნაბლისას ხმარობდნენ; დრილებსაც ამ ნაირადვე ეცვათ. ყველაზე უკეთესად მოსიანიები იყვნენ შეიარაღებულნი: თვითუკულს ტყავადაკრული დაწნული ფარი ჰქონდა, ხელში 15-წერტიანი შუბი ეჭირა, რომელსაც თავზე ჯერ ბუშტი ჰქონდა გაკეთებული, მერე შუბი; ყველას პაფლა-ლინიური რკინის ცულები ჰქონდა, ტანზე პატარა ნაქსოვი პერანგები ეცვა, რომელიც მუხლებამდისა სწვდებოდა, ხოლო თავზე ტყავის ჩაფხუტები ეხურათ.

თუცა ასურულ წყაროებში ჩვენს ერის მაშინდელი მდგომარეობა დაწვრილებით არ არის აწერილი, მაგრამ თუ მე-IV-ე საუკუნის ქართველ ტომების ყოფა-ცხოვრებას იმ დროინდელ მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია მაინც ვერ შევამჩნიოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ. ვახის მოვლასა, ღვინის დაყენებას, საქვლის მოშვებას, მადნეულის დაბრუნებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას მართალია წინანდებურად მისდევდნენ, მაგრამ სად იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აუარებელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კევხულობდნენ ხოლმე. წინად მათ ქალაქები ჰქონდათ, მეთოხე საუკუნეში-იო საღაპარაკოდაც არა ღირდა, რაც იყო ისიც ცხივებს უფრო მიაგავდა, ვიდრე ქალაქს. წინად ქართველები ძლიერ და მდიდარ ერად ითვლებოდნენ, აღებშიცემობისათვისაც შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ და ყველგან სახელი გავარდნილი ჰქონდათ; მე-IV საუკუნეში კი ისინი პატარ-პატარა ტომებად იყვნენ დაწვრილებულნი, მამაცობის პატივი მეხოხლებში-და ჰქონდათ შერჩენილი; მსოფლიოში კი მათი სახელი აღარ იხმოდა. ერთ დროს ისინი თავიანთ გარემო მტრებს ასურელებს ერთობლივ და თანხმობით ებრძოდნენ ხოლმე. მეთოხე საუკუნეში კი იმათ ერთმანეთთან ქიშპობაში ელეოდან დაღა: თვითოეული იმათგანი სულ იმის ცდაში იყო, თავის მეხოხულ და მოძვე ტომისათვის ბერძნების დახმარებით როგორ ვერა რამე. ან-კი რა გასაკვირველია: ახალ სამშობლოს მკაცრი და მწირი ბუნება, ინდო-გერმანულ ტომების შემოსევა, ხელს უწყობდა ქართველ ტომების თანდათან დაქვეითებას.

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას და კავკასიაში მცხოვრებ ქართველების შესახებ ცნობები მხოლოდ პირველ საუკუნის (ქრ.წ.) დასასრულიდან იწყება; სტრაბონის თქმით კოლხიდა ხიდელულობით მდიდარი იყო; სელი, კანაფი, ფიჭა და ფისიც უხვად იყო; იქაურ სელის ქსოვილებს ხომ დიდი სახელი ჰქონდა და უცხო ქვეყნებშიაც გაჰქონდათ ხოლმე (*Geographika, Lib. XI, cap. 2, 17*). გემების ასაშენებელი ტყეც ბლომად მოიპოვებოდა ადგილობრივად და უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. ერთი სიტყვით ხალხი აქ როგორც სწავს მეურნეობასა და მრეწველობას მისდევდა და მარტო თავისთვის სახმარებლად-კი არ აკეთებდა, არამედ უცხოეთში გასახიდდაც; ეტყობა აღებშიცემობას ვახი მაგრად ჰქონდა მოკიდებული. კოლხიდაში რამდენიმე სავაჭრო ადგილი იყო, სადაც ხალხი ახლო-მახლო ადგილებიდან თავს იყრიდა ხოლმე. ერთ ასეთ ადგილად კოლხიდის ჩრდილოეთ ნაწილში დიოსკური ითვლებოდა (*Lib. XI, cap. 2, 16*); რიონზე კიდევ "კოლხების სავაჭრო ნავთსადგური" ფაზისი იყო, რომელიც სწორედ იქ იღო, სადაც მდინარე რიონი ზღვას ერთვოდა და სადაც ახლა ფოთია (*ibid.*) იმ გაბთქ-

მულ სავაჭრო გზასაც, რომლითაც ირკონიის ზღვით, მერე ალბანიით, იბერიით მტკვრით და რიონით შავ ზღვამდე საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებს ინდოეთიდან საქონელი მიჰქონდათ ხოლმე, სწორედ კოლხიდაში ედო ბოლო (*Lib. XI, cap. 2, 3*); მაშინ გემები მდინარე რიონზე ციხე შორაპნამდე დადიოდნენ (*XI, cap. 2, 17*). რასაკვირველია ამისათვის ყოველთვის მდინარე უნდა გაეწმინდათ და უწმინდათ კიდევ. კოლხებს სხვა გვარ გზებზეაც უხრუხევიათ: რიონს რომ მიმოსვლა არ შეეფერებინა, სტრაბონის სიტყვით მდინარეზე 120 ხიდი ყოფილა გაკეთებული (*Lib. XI, cap. 2, 4*). ხოლო შორაპნიდან მოყოლებული იბერიის სამზღვრამდე ოთხი დღის სავალი იყო ურმის გზა გაყვანილი (*Lib. XI, cap. 2, 17*). ერთი სიტყვით ქვეყანა და ხალხი განვითარებული და დაწინაურებული ყოფილა. მაგრამ იმავე დროს კოლხების თანამომემ და მეხოხელი პენიონები და სვანები საშინლად დაქვეითებულ და უკან ჩამორჩენილ ხალხებად ჰყავს აღწერილი სტრაბონს. პიტეუსის ჩრდილო-დასავლეთისაკენ ზღვის პირას იქ, სადაც თითქმის არც ერთი ნავთსადგური არ მოიპოვებოდა, ქვეყანა მეტად მთიანია, რდგან კავკასიონის ქედის ნაწილს შეადგენს (*Lib. XI, cap. 2, 17*), პენიონები სახლობდნენ. სტრაბონის თქმით სხვა მეხოხობლებსავეთ ისინიც ზღვაზე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. თავიანთ პატარა და ვიწრო ნავეებში ასე ოცდა ხუთ-ხუთ კვადრატული მილიონი და გზას გაუდგებოდნენ ხოლმე: ხან ხომადღს დაეცემოდნენ და გასცარცვამდნენ, ხან რომელსამე ქალაქს ან დაბას; ზღვაზე ისინი თავისუფლად ბატონობდნენ. შინ დაბრუნებისას ნავს მხარზე გაიღებდნენ და ტყეში შეინახავდნენ ხოლმე. თავიანთ ქვეყანაში ისინი ტყეებში ცხოვრობდნენ და მწირ მიწის შემუშავებას მისდევდნენ, მაგრამ ნავოსნობის დრო მოაწვედა თუ არა, მაშინვე თავიანთ ხელობასა და ნავეებს მოიგონებდნენ ხოლმე. როცა რომელსამე ადგილზე დაეცემას განიზრახავდნენ, ჯერ თავიანთ ნავეებს ტყეში მიმალავდნენ ხოლმე, მერე-კი დღე და ღამ დაძრწოდნენ, ვისაც-კი მოასწრობდნენ და მარტოკას მოახელთებდნენ, მაშინვე ტყვედ მიჰყავდათ; მაგრამ თუ ტყვე სასყიდლით თავს გამოსიყვდა, დიდის სიხარულით ან-თავისუფლებდნენ ხოლმე (*Lib. XI, cap. 2, 12*). ამ გვარად პენიონები ნახევრად ცარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავსა, ნახევრად მწირ მიწის მოსავლით, არც სვანები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. ამათ კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილი და სამხრეთის ფერდობები ეჭირათ. დიოსკური-აზე ახლო იყვნენ (*ib. Lib. XI, cap. 2, 19*) და იქ უფრო მარტივი საყიდლად ჩადიოდნენ ხოლმე. (*ib. Lib. XI, cap. 5, 6*). სტრაბონის სიტყვით სვანები საშინლად ბინძურად ცხოვრობდნენ და განსაკუთრებით ნაწინადრე ხორცილია და ხილულობისთ და რძით მიდიოდნენ ითვლიდა (*ib. Lib. XI, cap. 5, 6*). როგორც ეტყობა მარტო მონადირეობასა და საქონლის მოშენებას მისდევდნენ; მიწის მოქმედებას მაგრე რიგად არ სწყალობდნენ. მაგრამ ესეც კი უნდა ითქვას, რომ სვანეთის მკაცრი ბუნება და პავე მიწის-მოქმედებას არც თუ ძალიან ხელს უწყობს; ზამთარში სვანეთი მიუვალა და მიმოსვლა სწყდება, გაზაფხულზე-კი (სტრაბონი შეცდომით ზაფხულზე ლაპარაკობს), ადამიანი თხილამურებს იკეთებს ფეხებზე, რომ თოვლში არ ჩაივლას, მთიდან კი ტყავზე დაჯდომილი ჩამოცურდებოდა ხოლმე, თორემ სხვაფრთვ მოგზაურობა საშიში იყო (*ib. Lib. XI, cap. 5, 6*). ასეთ პირობებში ან რა გასაკვირველია, რომ სვანები დაქვეითებულნი იყვნენ. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ხმა არისო, ვითომც სვანეთში წყლებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს და ადგილობრივი მკვიდრნი დაჩერებულნი ჭურჭლითა და ბანჯგვლიან ტყავებით ოქროსა ჰკრებენო (*ib. Lib. XI, cap. 2, 19*).

აღმოსავლეთ საქართველო, რომელსაც სტრაბონის დროს იბერია ერქვა, ძალიან მჭიდროდ იყო დასახლებული, სოფლებითა და ქალაქებით იყო სავსე. ყურადღების ღირსი ის არის, რომ სტრაბონის თქმით იბერიაში კრამიტის სართულები ან ჭერები სცოდნიათ, ხოლო სახლებს ხუროთმოძღვრების რიგზე თურმე

აშენებდნენ. საბაზრო ადგილებიც ჰქონიათ, ხოლო მოედნებზე საზოგადო დაწესებულებათა შენობები ჰქონდათ ხოლმე აგებული. აღმოსავლეთი საქართველო მაშასადამე პირველ საუკუნის დამდევს მდიდარი, განვითარებული ქვეყანა ყოფილა. აღებ-მიცემობა და საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებული და დაწინაურებული უნდა ყოფილიყო, თორემ ვის რად უნდოდა ან მოედნები ან ბაზრები, ან შენობები სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებებისათვის? ამ დროს სტრაბონის სიტყვით მტკვარში და ალაზანში გემები დაცურავდნენ.

